# ნაკადული



140
2006

# თბილისის 147-ე საჯარო სკოლის პირველკლასელები

ეროვნული ბიბლიოთეკა



კლასის ხელმძღვანელი
**ჯული გამყრელიძე**



კლასის ხელმძღვანელი
**ციური ბერიძე**



კლასის ხელმძღვანელი
**მარინე ბეჟაშვილი**

ოლეგ გველესიანის ფოტოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაკადული

საყმაწვილო ჟურნალი

2006 წ. № 5

ჩვენი ჟურნალი 1904 წელს სასიქადულო მამულიშვილთა მესვეურობით დაარსებული პირველი ქართული საყმაწვილო ჟურნალის ნაკადულის ნაფუძარზეა აღმოზრდილი. მოგვიანებით მას სახელი შეეცვალა და „პიონერი" ეწოდა, 1990 წლიდან კი იგი კვლავ თავისი პირვანდელი სახელით გამოდის.

## ნომრის შინაარსი

ჩვენთან, სკოლა „ნაკადულში" ---------- 3

ი. ტალიაშვილი – ოაზისის მთვარე (მოთხრობა) ---------- 5

„ოდოოშხერი" (მოსწავლეთა შემოქმედება) ---------- 8,11,18,29

მსოფლიო კიდით კიდემდე ---------- 10

ივანე მაჩაბელი (მშრომელი წარსულს და ნაშრომი ჰგიეს) ---------- 14

ტანი – ცხენის, ფეხები – ანტილოპის... (ბუნების კარი) ---------- 16

ა. აკობია – ლექსები (ჭუთკუნჭულას გვერდი) ---------- 24

ველოსიპედის გამოგონება გრძელდება ---------- 26

ვერცხლის დისკო წმიდა მამაის გამოსახულებით (რა განძი გვქონია...) - 26

რა კარგი იქნებოდა, ჩვენც რომ ზვიგენივით ამოგვდიოდეს კბილები ---- 28

როგორი ხასიათი გაქვს? (ტესტი) ---------- 30

სიცილის გაკვეთილი ---------- 31

იწილო-ბიწილო ---------- 32

24414

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ზურაბ ფორჩხიძისა

რედაქტორი
მანანა გელაშვილი

მისამართი: თბილისი, კოსტავას ქ. 14
ტელეფონები: 93-31-81; 93-18-84. ინდექსი: 0108
ფასი 1 ლარი
რეგისტრირებულია მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში.
რეგისტრაციის № 06/4-575



# „ნაკადულის" საინფორმაციო სააგენტო „პაკეტი"



## პრეზიდენტმა პატარა გამომგონებლები დააჯილდოვა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სასტუმრო „თბილისი მარიოტში" გამომგონებელთა კონკურსის მონაწილე 60 ბავშვი დააჯილდოვა.

„ეს ის თაობაა, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოში ჩამოყალიბდა. მათ აქვთ ღირსების და პატრიოტიზმის განცდა. ეს თაობა ყოველ ორშაბათს საქართველოს ჰიმნს მღერის და სწევს საქართველოს დროშას. ეს არის ის თაობა, რომელმაც ყველაზე კარგად გაუძლო ენერგოკრიზისს ყველაზე ცივი ზამთრის თვეებშიც კი. ისინი აჩვენებენ ყველას, რომ სხვა ღირსების და სიამაყის განცდა გვაქვს და სხვანაირ საქართველოში ვაპირებთ ცხოვრებას", – განაცხადა პრეზიდენტმა დაჯილდოებისას.

## პიონერფილმელები და ფესტივალი „სესილი"

ახლახან დამთავრებული ახალგაზრდული ფილმების ფესტივალის „სესილი" ჩარჩოებში „პიონერფილმის" ბავშვებმა კინოთეატრ „ქოლგაში" საკუთარი არასაკონკურსო ნამუშევრები წარადგინეს. მაყურებელთა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ორმა მათგანმა – 13 წლის რეჟისორის კოტე კურცხალიას ფილმმა „ტორტი", რომელიც საქართველოს ტერიტორიის ხელყოფასა და გახლეჩვას ასახავს და გიორგი მაისურაძის ფილმმა „დრონი". პიონერფილმელებმა, როგორც საბავშვო ჟიურის წევრებმა, უფროსი კინოხელოვანების ნამუშევართა შეფასებაშიც მიიღეს მონაწილეობა. ფესტივალის დახურვაზე კი მათ აჩვენეს მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში შექმნილი და სასახლის ცხოვრება-საქმიანობის ამსახველი სხვა ფილმები.

## „მზიურის" ახალი სიცოცხლე იწყება

სულ მალე ნოდარ დუმბაძის ხორცშესხმული ოცნება – ბავშვთა ქალაქი „მზიური" გასართობ-დასასვენებელი პარკის ფუნქციას დაიბრუნებს.

ორი თვის განმავლობაში პარკი სპეციალური მესერით შემოიღობება და ყველა საჭირო სამუშაოები ჩატარდება.

უახლოეს მომავალში გადაიჭრება პარკში 10 წლის განმავლობაში არსებული კანალიზაციის პრობლემა, პარკში გაკეთდება დასასვენებელი სკამები, დაიგება ასფალტი და დამონტაჟდება ახალი განათება. ასევე, კალაპოტს შეიცვლის მდინარე ვერე, რომელიც პარკის ტერიტორიაზე გაივლის. პარკის საზღვრების დადგენის შემდეგ „მზიურის" ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოებს ველარავინ აწარმოებს, მოიხსნება სამშენებლო ნარჩენების პრობლემაც.

„მზიურის" რეაბილიტაციისათვის თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური 1,5 მილიონ ლარს გამოყოფს.

## დასრულდა ქართული სიმღერის ფესტივალი „გოგი"

დამთავრდა თბილისის 24-ე საშუალო სკოლის თაოსნობით დაფუძნებული გოგი დოლიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ქართული სიმღერის პირველი ფესტივალი „გოგი", რომელშიც 400 ნორჩმა მომღერალმა მიიღო მონაწილეობა. კომპეტენტურმა ჟიურიმ გამარჯვებულად 42 შემსრულებელი ცნო. ქართველი საზოგადოების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, ფესტივალი „გოგი" ტრადიციული გახდება, ყოველწლიურად ჩატარდება და მასში უკვე რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენლებიც მიიღებენ მონაწილეობას.

# ჩვენთან, სკოლა „ნაკადულში“

კლასგარეშე ღონისძიებებს მოსწავლეთა შემოქმედებითი აქტივობის გაუმჯობესებისათვის, მათი ესთეტიკური და ლიტერატურული გემოვნების ჩამოყალიბებისათვის განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. რუსთავის სკოლა „ნაკადულის“ ცხოვრება ამ მხრივ გამორჩეულად საინტერესოა. მოსწავლეთაგან წამოსული გონიერი ინიციატივა ხშირად შთამბეჭდავ ხორცშესხმას პოულობს ხან სკოლის კედლებში, ხან მის გარეთ.

ქართული ენის დღეების ჩარჩოებში VII-VIII კლასების მოსწავლეთა უშუალო მონაწილეობითა და ძალისხმევით თბილისში „დედაენის“ ძეგლთან გაიმართა ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება „ქებაჲ და დიდებაჲ“. ღონისძიების მზადების პერიოდში მოსწავლეებმა უფრო მეტი გაიგეს ქართული ენის წარმოშობისა და განვითარების შესახებ, კიდევ ერთხელ გააცნობიერეს 1978 წლის 14 აპრილის მოვლენები, მათი მნიშვნელობა. მსმენელთა წინაშე მათ გააცოცხლეს იმ დღეების სიმძაფრე. ნათლად იგრძნობოდა, რომ ზეიმის მონაწილეებს ღრმად სწამდათ წარმოთქმულ სიტყვათა ჭეშმარიტება.

„დედაენის“ ძეგლიდან მოსწავლეებმა მთაწმინდის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გადაინაცვლეს, სადაც მათ ქართველი მწერლების და პოეტების წინასწარ მომზადებული ბიოგრაფიები წარმოადგინეს.

ამაღელვებელი იყო ეს წუთები: კიდევ ერთხელ გაიჟღერა ილიას, ვაჟას, აკაკის, გალაკტიონის, დიმიტრი ყიფიანის და სხვა ქართველი კორიფეების სახელებმა, კიდევ ერთხელ ათრთოლდა ეროვნული სიამაყით აძგერებული გული და კიდევ ერთხელ გაცხადდა ის აუცილებელი ჭეშმარიტება, რომ ქართულ სულს, ქართულ გენს უდიდესი პოტენცია აქვს და გადაგვარება არ უწერია.

ქართული ენის ზეიმის ერთგვარ გაგრძელებად იქცა „ნაკადულის“ ლიტერატურული სალონის მიერ მომზადებული რაინდული ასპარეზობა „მოდით და ნახეთ ყოველმან შემსხმელმან, შემამკობელმან“. ჩვენს სკოლაში კარგად ესმით, რომ დღეს, როდესაც აშკარად იგრძნობა სულიერი საზრდოს დეფიციტი და მოზარდი თაობა მხოლოდ კომპიუტერული მიღწევებითაა დაინტერესებული, წიგნს განსაკუთრებული როლი ენიჭება, წიგნითაა მხოლოდ შესაძლებელი მოსწავლეთა შემეცნებითი აქტივობის გაუმჯობესება და კრიტიკული აზროვნების განვითარება. მთავარია, ახალგაზრდობის ინტერესის, მიპყრობა მხატვრული თუ შემეცნებითი ლიტერატურისადმი. სწორედ ეს დატვირთვა ჰქონდა რაინდულ ასპარეზობასაც, მოსწავლეებმა წარმოადგინეს „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე ეპიზოდის კოსტუმირებული ინსცენირება, რომელიც დაგვირგვინდა ასპარეზობით (ვიქტორინით). დიდი მონდომებით, ოსტატობით გააცოცხლეს უფროსკლასელმა მოსწავლეებმა თინათინის, როსტევანის, ავთანდილის მხატვრული სახეები, მსმენელთათვის მისაწვდომი გახადეს მათი ემოციები, განცდები, მისწრაფებები. გამოავლინეს პოემის ტექსტის წვდომის საოცარი უნარი.

ამაღლებული განწყობა იგრძნობოდა სტუმრებს შორისაც. ძალზე კმაყოფილები დარჩნენ ჟურნალ „ნაკადულის“ თანამშრომლები, რუსთავის სხვადასხვა სკოლებიდან მოწვეული მოსწავლეები, რომლებიც იმის რწმენით დაემშვიდობნენ მასპინძლებს, რომ ახალგაზრდობა, რომელიც ასეთი ეროვნული სულისკვეთებით იზრდება. ნამდვილად საიმედოა მომავლისათვის.

**მაია ბუაძე,**
ქ. რუსთავის სკოლა
„ნაკადულის“ ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი.

## „ქებაჲ და დიდებაჲ“...

სკოლა „ნაკადულში“ სწავლის ყოველი დღე საინტერესო და ნაყოფიერია. ყოველ მეორე დღეს ახალს ველოდები რაღაცას. განსაკუთრებულად შთამბეჭდავი იყო ჩემთვის და ალბათ, თითოეული ჩემი თანატოლისთვის, ქართული ენის დღეების მიმდინარეობა სკოლაში. ვიქტორინებს ლიტერატურული საღამოები ცვლიდა, ამ უკანასკნელს – მიზნობრივი ექსკურსიები. ქართული ენის დღესთან დაკავშირებით „დედაენის“ ძეგლთან გავმართეთ ღონისძიება „ქებაჲ და დიდებაჲ“ თავიდან ცოტა არ იყოს, სიმორცხვემ დაგვრია ხელი, მაგრამ როდესაც მსმე-



ნელთა რიცხვი გაიზარდა, ჩვეული სითამამით გავახსენეთ ყველას ქართული ენის დიდებულება, მისი წარსული და დავაიმედეთ, რომ ჩვენს ხელში ქართულს გადაშენება არ უწერია. ამ დღეს კიდევ უფრო მძლავრად ვიგრძენი ქართული ეროვნული მაჯისცემა, როდესაც ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონს მივმართეთ. ქვადქცეული კორიფეებიც თითქოს ერთიანად წამოიშალნენ და ჩვენი გულწრფელი სიტყვის მოსასმენად შემოიკრიბნენ. გავიხსენეთ დიდი ილიას, ვაჟას, გალაკტიონის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, დიმიტრი ყიფიანის და სხვათა დაუვიწყარი სახელები. ისე ახლობელნი იყვნენ ისინი მაშინ ჩემთვის... ეს განცდა დაუვიწყარია! ბედნიერი ვარ, რომ ეს ღონისძიება უკანასკნელი არ იქნება და მსგავს ლამაზ წუთებს კიდევ ველი ჩემი სკოლის მოსწავლეებისაგან.

**თიკო ვარამაშვილი,**
**VIII კლასი**

# „მოდით და ნახეთ ყოველმან შემსხმელმან, შემამკობელმან“

დიდხანს ფიქრი არ დამჭირვებია, ისე გავხდი სკოლა „ნაკადულში“ არსებული ლიტერატურული სალონის წევრი. ვიცოდი, ბევრ საინტერესო რამეს მიქადდა მისი წევრობა. განცდილმა მოლოდინს გადააჭარბა. არც ერთი დღე ერთმანეთს არ ჰგავს. პოეტური საღამოები, ვიქტორინები, ლიტერატურულ-შემეცნებითი ღონისძიებები, მსჯელობანი თავისუფალ თემებზე ჩვენი სასკოლო ცხოვრების ჩვეულებრივი, მაგრამ შთამბეჭდავი თანმხლები მოვლენებია. განსაკუთრებული სიხარულით მივიღე მონაწილეობა ახლახან გამართულ რაინდულ ასპარეზობაში.

„მოდით და ნახეთ ყოველმან შემსხმელმან, შემამკობელმან“. მოსწავლეებმა წარმოვადგინეთ „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე თავის ინსცენირება, გვესმოდა, თუ როგორი თამამი ნაბიჯი გადავდგით, მაგრამ ეს ამ პოემის უდიდესმა სიყვარულმა გაგვაბედინა. სცენის გაფორმებამ, მონაწილეთა შესაფერისმა ჩაცმულობამ თითქოს ყველა, მოსწავლეებიც და მაყურებლებიც, მეთორმეტე საუკუნის საქართველოში დაგვაბრუნა. განვიცადეთ ის ემოცია, რაც თინათინის გამეფებას ახლდა, როსტევანის მოწყენის მიზეზიც გავისიგრძეგანეთ.

არაჩვეულებრივი შესაძლებლობა მომეცა უფრო ღრმად ჩავწვდომოდი „ვეფხისტყაოსნის“ სულს და პოემის ის ადგილები ხელმეორედ გადამეკითხა, რომლებსაც წინათ არც ისე დიდი ყურადღება დავუთმე.

არაჩვეულებრივი განცდა დამეუფლა. თავი ახლაც რაინდულ სამყაროს მკვიდრი მგონია და ამიტომ, გაუცნობიერებლად, უფრო მომთხოვნი გავხდი საკუთარი თავის მიმართ. ვხვდები, რომ ეს მარტო მე არ დამმართნია...

**თამუნა დემეტრაშვილი,**
**IX კლასი.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა

ირინე ტალიაშვილი

მხატვარი
იოსებ სამსონაძე



# ოპიზის მოძღვარი

(ბექა ოპიზარის შეგირდის ჩანაწერებიდან)
„აწ ვინც ამ წიგნს იმსახურებდეთ, ღვთის გულისათვის, ნუ დაგვწყევლით, არამედ თქვით – „უფალო, შეუნდე ცოდვანი მათნი...“
(წყაროსთავის სახარების მინაწერი)

ცხელა. რუხი თავმოჭრილი დევებივით დაყუდებულან ხავსმოკიდებული ლოდები და მონასტრის გარშემო ქაჯეთის სამეფოსავით მიუდგომელ ციხე-სიმაგრეს ქმნიან.

საღამოს კიდევ არა უშავს, როცა ხეობიდან ნიავი დაქროლებს, მაგრამ დღისით სუნთქვა ჭირს. სიცხით ირგვლივ ყველაფერი გაუდაბურებული და დადუმებულია. კიდეებშემომჭკნარი ფოთლები გამხმარ ყუნწებზე მიჭყლეტილან და ნელი ტოკვითღა ამჟღავნებენ სასიცოცხლო ძარღვების ფეთქვას. დაბერებულ, დახეთქილ ქვებზე ყბამოქაქანე ზურმუხტოვანი ხვლიკები გაწოლილან და დატყაპნილი ჯოჯოები აკუსებენ მრგვალ, საზარ თვალებს. მაგათთვის ზეიმია. სიცხე ჰყვარებიათ და პაპანაქება.

წუხელ ძლიერად იძრა მიწა. ამ ერთი თვის წინათ ვეება ქვები დაუცურებიათ ჯავახეთიდანო, ამბავი მოიტანა კუმურდოელმა ბერმა, მეწყერი და ჟამიანობა იცის მიწისძვრამაო, ჩიოდა შეწუხებული კაცი. ჩვენამდე ჯერ არ მოუღწევია ხმელეთის მეუფის რისხვას, მაგრამ შიშისგან მაინც გვაკანკალებს და დღედაღამ იმას ვლოცულობთ, გვაშოროს უფალმა განსაცდელი.

კიდევ კარგი სენაკში გრილა. მკვიდრად ნაგები საყდარი მზის დაკრუნჩხულ სხივებს შიგნით არ უშვებს, მხოლოდ კამარის ქვეშ ამოჭრილი მოგრძო სარკმელებიდან ჭიატობენ ცრიატი სხივთა კონები.

გვერდით სენაკში დიდოსტატი ბექა ოპიზარია სარეცელს მიჯაჭვული. ავადმყოფობამ დარია ხელი.

უჟმური თუ შეეყარაო რამე, – წუწუნებს ბერი მიქაელი. – მისანი თებრონე მოვიყვანოთო, – წარამარა გაიძახის, მაგრამ არ უშვებს ბექა ოსტატი. წევს გაყუჩებული. დარეჯანის ძესავით გადაუშლია მხარ-ბეჭი და მისი ვაებიანი ამოოხვრა დროდადრო დადუმებულ არემარეს აფხიზლებს.

ჯავრი მომდის საკუთარ თავზე. ნეტავი შემეძლოს რითიმე შველა-მეთქი ჩავძახი გულს, მაგრამ სასიკეთოს არაფერს შთამაგონებს განგება.

სანატრელი გაგვიხდა ვარძიისგან თქმული აფთიაქი. როცა ჩემი ოსტატი მხიარულ და კეთილ გუნებაზე ბრძანდებოდა, ენამოუღლელად მიყვებოდა სასწაულმოქმედი წამლების იშვიათ ღირსებაზე, მაგრამ ვინაა ახლა გამკითხავი, სწორუპოვარ ოსტატს სული შთაბეროს. არადა, რა წამალი გინდა თურმე, იმ აფთიაქში არ მოიძებნებოდეს. ამბობენ, თამარ დედოფალს საჩინეთის და ინდოთ ქვეყნიდან განთქმული ჰაქიმები მოუწვევია და სამკურნალო ბალახის წვენსა და მალამო წამლებს ამზადებინებს კოლხეთის მეფის ასულის, გრძნეული მედეას სახელზე შეწირული აფთიაქისთვისო.

ვზივარ მდუმარე სენაკში გამოკეტილი. ზაფხულის თაკარა დღეს ვემალები და თავში ათასგვარი აზრი მიტრიალებს. მართლაც, წყალობის თვალით გადმომხედა უფალმა, რომ ბექა ოპიზარის შეგირდობა დამანათლა. მიქაელ ბერმაც დიდი სიკეთე გამიწია. შვილივით მივლის დაობლებულს და დიდი გულისყურით ცდილობს სასიკეთო გზაზე ჩემს დაყენებას, წერა-კითხვა იმან შემასწავლა, იმან ამიხილა თვალები და დამაჭერინა წიგნი ხელში. ის კი არა, იმდენად გამიტაცა მწიგნობრობამ, რომ ჩემს საყვარელ ხელობას – ხატვას თავი მივანებე და წერა-კითხვას მივყავი ხელი. ხანდახან ბერი სიყვარულით კიდეც დამცინის – არიქა, ბიჭო, იოანე ფუკარელისძეს არ აჯობოო, – მაგრამ არად მწყინს მისი ხუმრობა.

–გადამწერელს მწერალი არ სჯობია-მეთქი? – ვეპაექრები ლაღობით და ვბეჯითდები.

ამ ერთი თვის წინათ ბექა ოპიზარმა ტბეთის ეპისკოპოსის, იოანე მტბევარის შეკვეთით წყაროსთავის სახარების ყდის მოჭედვა დაივალა. სახარების ყდაზე ორასი დრამის ვერცხლი, ოცი დრამის ოქრო და უთვალავი თვალ-მარგალიტი დაიხარჯა თურმე. ჩემი ოსტატი პატიოსანი კაცია. ღვთის მოქანდაკე ბრძენი ოსტატივით ოქროს გაფლანგვა კი არ დაუწყია. ყოველდღე მისხალ-მისხალ წონიდა ძვირფას თვლებს და გულდაგულ ითვლიდა, სად რამდენი დასჭირდებოდა.

ყდის მოჭედვაში მეც მიმიძღვის წვლილი. მართალია, ოსტატი ჯერ მნიშვნელოვან საქმეზე არ მიშვებს, მაგრამ ჩემით ვცოდვილობ, ფეხებში ვედები და მინდა თავი მოვაწონო. ოსტატი ისეთი კაცი არ არის, რომ ვერ გაიგოს ჩემი საწადელი.



—შვილო, დათოო, — მეუბნება, — ოქრომჭედლობა იმგვარი ხელობაა, მარტო პატიოსან კაცს რომ შეჰფერის პურს კი გაჭმევს, მაგრამ შეიძლება თავიც გადააყოლოო.

ბექა ოპიზარს მეფეც აფასებს და ერიც. თამარ დედოფლისთანა მოწყალე და სათნო განმგებელი მეორე არ მოიძებნება დედამიწაზე.

ამ ორი წლის წინათ მისი ნებით და ანჩის ეპისკოპოსის რკინაელის შეკვეთით ხატი ჩამოასვენეს კლარჯეთს. მოოქრული ჩარჩოთი უნდა შეემკო ოსტატს. მისი მოჭედვისათვის საჭირო ხარჯებიც თვითონ გაიღო დედოფალმა. მე ვერ მოვასწარი მეხილა იმ ხატის ბრწყინვალება, მაგრამ მრავალს ამბობენ მის სიდიადეზე.

—ეს უნატიფესი ხელოვნების საიდუმლოა, სევადის ბალიშზე დასვენებულიო, — გამანდო მიქაელ ბერმა, — ჩუქურთმებითაა შემკული და პაწაწინა რტოთა ბწკარედებით ჩახლართულიო.

თვითონ ოპიზარს თავისი ნამუშევრით მაინცდამაინც დიდი კმაყოფილება არ ეტყობა.

—რასაც სული მოითხოვს, მის შექმნას გიკრძალავენო, — შესჩიოდა ერთხელ ღამენათევი მიქაელს, — შემოქმედს სივრცე და სინათლე ესაჭიროებაო.

—სივრცე-სინათლის მეტი რაა ამ დალოცვილ მიწაზე, მაგრამ იმასაც რომ გიზომავენო, — ამოოხვრით მიუგო სწავლულმა ბერმა.

ჯერ ვერა, და მერე გავიგე მათი ნაუბარი. შურიანსა და ოხერ კაცს რა გამოლევს ქვეყანაზე. ბექასაც მტრობენ თურმე ზოგიერთი ავყია ხელოსნები. მწვანე ხვლიკებივით დაძვრებიან ათაბაგების და მხარგრძელების ენატანია მსტოვრები და ჭორს უზიდავენ კათალიკოსს, ბექა ოპიზარს უფრთო, შიშველი ანგელოზების ხატები უჭედია, წმიდა ნინოსთვის შარავანდედი მოუშლია და თავისი დის მარიხის სახე დაუხატავსო.

ამგვარმა ჭორებმა შეიწირა დიდი ბეშქენიც, ამბობენ. შეშურდათ მისი ოსტატობა და საწამლავით მოუსწრაფეს სიცოცხლეო. ზოგიერთს ბეშქენ და ბექა ძმები ჰგონია, ზოგსაც მამა-შვილი, მაგრამ თურმე ხეირიანად არც იცნობდნენ ერთმანეთს. მხოლოდ დიდმა ოსტატობამ გაუთქვა სახელი და უსისხლოდ დაანათესავა ისინი.

წუხანდელი მიწისძვრით შეშინებულს ამ დილით უთენია გამეღვიძა. მაშინვე გარეთ გამოვვარდი. ერთი სული მქონდა დამენახა, რომ გარეთ ჩვეულებრივად ყვავილდებოდა სიცოცხლე და ჩვეულებრივ ფერადდებოდა ზეცა. მიმოვიხედე გარშემო და შვებით ამოვისუნთქე. დავურბინე აცრემლებულ ბალახს, მერე მწვანიანზე გავიშოტე და კამკამა სივრცეს თვალი გავუშტერე.

—ბიჭო, დათო! ბიჭო, დათო! — მომესმა ბერის ყვირილი — შე ულმერთო, დილის ლოცვა არ გითქვამს და ნამიანზე რას კოტრიალობ, გაცივდები.

ახლა ვლოცულობ-მეთქი, გავლრიჭე მიქაელს, მაგრამ იმას აგრე ადვილად თავიდან ვერ მოიშორებ. დაეყუდება ჩემ წინ ჯიუტად და ვიდრე დაუჯდომელს არ მალოცვინებს, არ მომეშვება.

ლოცვებს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ხანდახან თვალს რომ გავახელ და ტოროლების წკრიალი ჩა-

მწვდება, გული არ მიდგება. ჯერ გარეთ გამოვვარდები, ახლად გაღვიძებულ ხმელეთს და ცას მოვისურეილებ ხოლმე და მერე სალოცავად ვიცლი.

ჩემი ოსტატიც თურმე ჩემსავით ფიქრობს, — დაანებე თავი, ბეროო! — ურჩია ერთხელ, ამას აღმაფრენა ჰქვია. ხელოვანს შთაგონება თუ ეწვია, უკეთეს დროს ვერც ინატრებს, ღმერთსაც ასიამოვნებს და ერსაცო.

გაეცინა მიქაელ ბერს.

–ესეთი ხალხი ხართ ეს შემოქმედნი. ღმერთიც თქვენ გქვიათ და მისი შემქმნელიცო.

მიყვარს ჩემი ოპიზარი. მისი თითოეული სიტყვა მიყვარს და თითოეული გაჭედილი ხატი. რას არ წააწყდებით მის სამუშაო სენაკში? მარტო ფრთაფარფატა ანგელოზებს და ღმერთებს კი არა, ერთხელ ჩუმად შევესწარი, როგორი სასოებით ქმნიდა უცნობი ქალის ხატებას.

...დიდგვაროვანის ქალი ჩანდა. ტანთ საუცხოო ნარგიზისფერი აბრეშუმის კაბა ემოსა და აღერილ კისერს ძვირფას თვლებით მოჭედილი ოქროს ჯვარი უმშვენებდა. ამხედრებული გვეახლა ოპიზას. გაქაფული ცხენი მოაგდო ბაღის კართან და მბრძანებლურად მკითხა, სად არის შენი ოსტატიო.

გამოეგება თვითონ ოსტატიც. მკლავდაკაპიწებული, წინსაფარაფარებული. ხელთ შერჩენოდა ჯერ ისევ დაუმთავრებელი ნამუშევარი. დაინახეს ერთმანეთი და გადაეხვნენ ნესტან-ტარიელივით. სიმწრის ცრემლებს იწურავდნენ თვალთაგან. ულამაზესი თვალები ჰქონდა ქალს. ანჩის ხატზე გამოსახული წმინდა მარიამივით ნაღვლიანი და წამწამდახრილი.

–ჩემო ბექაო, — მდუღარებდა ქალი, — ჩემო ჩუქურთმის მჭრელო, ჩემო ღიმილის მჭრელო, სიყვარულის და სიძველის რაინდო, ჩემო ბექაო! — ოჰ, რა სიტყვებს აფრქვევდა. აუტანელი მწუხარებით აგვევსო გული. გვეტირებოდა იმათ შემხედვარე მე და მიქაელ ბერსაც. ბექა ოპიზარი სატრფოს უშრალებდა ცრემლებს, მაგრამ თვითონაც წამწამები ენამებოდა. შეიყვანა მერე სახელოსნოში, დაათვალიერებინა მრავალნაჭედი ქმნილებანი და სევდიანად ჰკითხა, — მითხარი, ჩემო დედოფალი, რას ინებებ საქორწინო საჩუქრად?

მერე გავიგე, რომ ბექას სატრფოს მამის ნებით უცხო სოვდაგარზე ათხოვებდნენ. საქმეს და სამშობლოს სჭირდებაო, უბრძანებია მამას. ამიტომ ჰგოდებდა ქალიც. მუხლი მოიყარა გამოთხოვებისას ოსტატმა, გადმოიღო თავისი ხელით მოჭედილი ოქროსჩარჩოიანი „ვეფხისტყაოსანი“ და მოწიწებით გაუწოდა ქალს. სარკმელში შემოპარული მზის სხივები ჩარჩოზე ირეკლებოდნენ და ცისარტყელას ფერებით აციაგებდნენ ძვირფას საჩუქარს. თვალს სჭრიდა ასულის ცრემლებთან შერეული პატიოსანი თვლების ციმციმი.

გამოართვა ქალმა წიგნი. ეამბორა ყდას და გადაეხვია სატრფოს. გამოიჭრა მერე გარეთ, მოახტა ბედაურს და როგორც მოევლინა, გაქრა უჩინრად.

მას შემდეგ აიკვირაძალა ოსტატმა სამუშაო, ჩავარდა ლოგინად და გულდაკოდილი ელოდებოდა აღსასრულს.

ინახულა ტბეთის ეპისკოპოსმა, პირქუშმა, ზვიადმა კაცმა. მოაკითხა თავის შეკვეთას. გაოცდა ნაკეთების სრულყოფით და სინატიფით.

„ვიც ცუარი ანუ ღილ-კილოი დააკლოს და შეუცვალოს რაიმე ამ ნაჭედს, წყეულ იყოს მისი მკვდარი და ცოცხალი ერთად“ — დიდი ზარზეიმით ამოიკითხა წარწერა ოსტატისა, ჩაიმუხლა იოანე საფარელმა ოპიზარის სარეცელთან და მოწიწებით ეამბორა შუბლზე. წამოდგა მერე, მოატანინა სათუთად ნაკერი ხავერდის ბალიში, ჩიტისთვალა ღილებით მოთვალმარგალიტებული და დაასვენეს ზედ სახარება.

–ამინ! — გუგუნებდა დარბაზი, — ამინ! — ბანს აძლევდნენ დაჩოქილი ბერკაცები და ერისკაცები.

* * *

გარეთ კი ცხელა, ცხელა. გაავებული გნიასებენ კუტკალიები და სიფრიფანა ფრთებს აჭრიალებენ ჭრიჭინები.

მონასტრიდან კარგა დაშორებით, გადასახედში ყოველ ნაბიჯზე ყრია ვეება ქვები. მიდიხარ და ეჭვი გიპყრობს, იქნებ ჯადოქრის ხელითაა აქაურობა გაქვავებული, იქნებ ჯადოქრის წკეპლაა საჭირო მის გასაცოცხლებლად. მაგრამ სინამდვილე ყველაზე ძლიერია.

–არავითარი სასწაული არ ხდება. მილიონი წლების განმავლობაში ასე მდუმარებდნენ ეს ლოდებიო, — მიხსნის ხოლმე ბერი მიქაელი.

ვწივარ და ვფიქრობ.

–საოცარია, რამ შექმნა ეს სამყარო. ნეტავ სხვაგანაც არსებობენ ჩვენნაირი ადამიანები?

მახსოვს, ძალიან პატარა რომ ვიყავი, ვარძიასთან ახლოს ვცხოვრობდით. ერთხელ თხების ძებნაში შემომაღამდა და ფეხდაფეხ გავუდექი მტკვრის ნაპირს. ამოცურდა პირგავსებული, დარბაისელი მთვარე და იოანე ნათლისმცემელივით დაიყენა გარს ნათელი. ზედ ფუმფულა ღრუბლებივით, გორა-გორა აჩნდა თეთრი ლაქები. გზას მინათებდა, გვერდით მომყვებოდა და მაიმედებდა. მაშინ მეგონა, რომ შავშეთს, კლარჯეთს, ტაოს, არტანუჯს თუ ჯავახეთს სხვადასხვა მთვარე ანათებდა, მაგრამ ახლა გავიგე, რომ მთვარეც და დედამიწაც ერთადერთი ყოფილა ქვეყნიერებისათვის.

მკვდრული სიჩუმე იდგა ხეობაში. სადღაც, ქვაბულში გულისწამღებად კიოდა ჭოტი. ავხედე უამრავი ვარსკვლავით მოკირწყლულ ზეცას, და უცებ დავინახე, რომ მოწყდა ერთი მსხვილი შუქიანი ვარსკვლავი, წამოვიდა ჩემკენ, ჩამიქროლა თავპირის მტვრევით და იქვე, ახლოს, ბუჩქებში დაეცა. ჯერ გამიკვირდა ცეცხლი რატომ არ აბრიალდა-მეთქი, მაგრამ მერე სულასწრაფებული იქითკენ გავექანე და ფეხისგულები დავიჩხრეკე წვეტიან ქვა-ღორღზე სირბილით. ვარსკვლავი, აქვე, ერთი ხელის გაწვდენაზე მეგულებოდა, მაგრამ ვერ მივაგენი, ვარსკვლავის მაგივრად, იმ ადგილას მხოლოდ პატარა, ვერცხლისფერი ტბა კამკამებდა, რომლის ზედაპირზე მშვიდად ირეკლავდა ქვეყნიერების მნათობს. მერე გავიგე, რომ ამ ტბას თურმე

„თამარის ცრემლებს“ ეძახდნენ.

ბავშვობაში მეფის ასული ჩემსავით დაკარგულა და იმდენი უტირია, რომ ცრემლებისაგან ტბა დაუყენებია. როცა ბექა ოპიზარს იმ ტბის ამბავი ვუამბე, გულიანად გაეცინა:

–ერთი პატარა გოგოს ცრემლებს თუ ამხელა ტბის დაბადება შეუძლიათ, მაშინ ყველა ქალი ერთად ალბათ იმდენ ტბას დააყენებს, რომ მთელი სამყარო ჩაიძირება მასშიო, – მითხრა სევდანარევი ღიმილით.

* * *

წუხელ ოსტატმა დამიბარა თავისთან. მიმატანინა „ვეფხისტყაოსანი“ და მწუხარებით მითხრა. – წამიკითხე ის ადგილი, სადაც წერია „სიკვდილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსაო“.

ვუკითხე და ვუკითხე წიგნი, წაკითხვა არც მჭირდებოდა, უკვე ზეპირად ვისწავლე თითქმის, მაგრამ მისი კითხვისას მუდამ ერთნაირი გაოცება მიპყრობს ხოლმე. ამის დამწერი ჩვეულებრივი ადამიანი როგორ იქნება-მეთქი? – ერთხელ ოსტატსაც ვკითხე:

გაეღიმა ბექას – იცი? როცა შოთა ამ წიგნს წერდა, თურმე ეშმაკი მხარზე ეჯდა და ის კარნახობდაო, – მომიგო მხიარულად.

მივხვდი, ჩემი ოსტატი ჩვეულებისამებრ ხუმრობდა მაგრამ მაინც გამისკდა გული, წარმოვიდგინე პატარა, რქიანი არსება და შემეშინდა. ახლა ჩვენთან ბევრს ლაპარაკობენ კუდიანებსა და ავსულებზე, მაგრამ ბექას არ აშინებს ამგვარი მონაჩმახები. მხოლოდ მიქაელი იწერს ხოლმე გაცხარებული პირჯვარს და „ფუი ეშმაკს“, „ფუი ეშმაკს“ გაიძახის.

–მითხარი ერთი, ძმაო მიქაელო, – ჰკითხავს ხოლმე ოსტატი, – ღმერთი და ეშმაკი ერთმანეთისაგან რით განსხვავდებაო, – შეშინებული ბერი შეცბუნებით ასავსავებს ხელებს, – ეგეთი კითხვა მკრეხელობაა, ღმერთი გიწყენს, როგორ გაბედეო, – მკაცრად ტუქსავს ოქრომჭედელს.

–პასუხს ვერ მაძლევ და იმიტომო, – ეცინება ბექას, – ღმერთი შეყვარებულთა და ცოდვიანთა სულის სანუგეშებლად არის მოვლენილი, თორემ ადამიანებს ერთი რწმენა და ერთი ღმერთი ჰყავთ ქვეყანაზე, ეს მათი სამშობლო და მათი ენააო.

თავმოდრეკილი დადგება ხოლმე ბერი, აღაპყრობს ხელებს და ბუტბუტებს გამძაგებული, – ღმერთო, შეუნდე, რამეთუ არ იციან, რასა იქმანო!

ვუსმენ ორთა პაექრობას და ვფიქრობ. მართლაც რა ხმოვანი, რა მეტყველია ჩვენი ენა. ნეტავი ვიცოდე, უცხოელის ყურისთვისაც ისევე საიმედოდ ჟღერს?

–თათარს რომ ჰკითხო თავის ენაზე, ისიც მაგას მოგიგებსო, – მარწმუნებს მიქაელ ბერი, – ყველა ერს თავისი ენა ტკბილი ჰგონიაო.

სხვისი არ ვიცი, მაგრამ ჩემი ენა რომ ყველაზე ტკბილია, ამაში არც მე და არც ბექა ოპიზარს ეჭვი არ გვეპარება. გადმოიღებს ხოლმე ჩემი ოსტატი ხარის ტყავში ჩასმულ სქელ წიგნს და მიკითხავს ლოცვანივით – „ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა, ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა გარდა ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“. მარცვალ-მარცვალ ვიხსომებ თითოეულ სიტყვას და ბექა ოპიზარივით ვცდილობ გულის ფიცარზე დავიწერო. მიქაელ ბერი კი კვლავ უჩინოსავით დაბორიალობს ვრცელ დარბაზში და ბუტბუტებს – ღმერთო, აკურთხე ენა ჩვენი, ღმერთო, ადიდე სჯული ქართველი ერისა...



* * *

თანდათან ჩამობნელდა სენაკში. ავანთე ჭრაქი, მოვიდგი გვერდით და ისევ მოვიმარჯვე კალამი, მაგრამ არ დამცალდა. ყური მომჭრა ჩუმმა კაკუნმა, წამოვიჭერი შეშინებული, ბექას სამყოფელის კარი მცირედ შევაღე და უკუვდექი.

გამგელებული მუშაობს ჩემი ოსტატი. ხელში მოუმარჯვებია ლურსმანივით წამახვილებული ნემსისწვერა საჭრეთელი და უკაკუნებს ჩაქუჩს. შემომხედა ამღვრეული თვალებით, ზაფრანისფერმა გადაჰკრა ლოყებზე, უჟმურშეყრილივით აუცახცახდა გრძელი წვერი. მივუახლოვდი ჩუმად, ფეხაკრეფით, დავღუნე თავი და დავინახე, უკვე ამთავრებდა მოოქრული ვერცხლით გაწყობილი სახარების ჩარჩოს მოჭედვას. „ქრისტე, შეიწყალე ოქრომჭედელი ბექა ოპიზარი“, ამოტვიფრა ოსტატს უკანასკნელი სავედრებელი. ენა ვეღარ მოვიტრიალე, დავიმუხლე მის წინაშე და ჩავიჩურჩულე: – ღმერთმა შენი თავი გვიცოცხლოს, ოსტატო ბექა!

შემომხედა ოსტატმა, ფრესკიდან გადმოსული ღვთის კაცის ღიმილით გამიღიმა და თავზე დამადო ხელი...

ვზივარ ისევ ჩემს მყუდრო სენაკს. ფარვანას ჩრდილივით დაფარფატებს სანთლის ალი. სიჩუმეში გარკვევით მოისმის მიწის გუგუნი. უცაბედად ამოვარდნილი ქარაშოტი ანგრევს არემარეს და აბობოქრებული ღრიალებს ყალყზე შემდგარი მდინარის ხეობა.

შიშით ვთრთი და ვკანკალებ, მაგრამ ვერსაით წავუვალ ბედისწერას. მაგრად ჩავბღუჯე ბატის ფრთა. ტუჩები მოვკუმე და მოსალოდნელ განსაცდელს მედგრად დავუწყე ლოდინი. რაც უნდა მოხდეს, არ გავაგდებ კალამს ხელიდან. მე ჩვეულებრივი მოკვდავი კი არა, ბექა ოპიზარის მემატიანე ვარ და ჩემი ვალია, გადავარჩინო მისი სახელი.

მიწა კი გუგუნებს, ღმუის, გმინავს შეშფოთებული ოპიზა, ხოლო ნახევრადჩამქრალ სენაკში ჩუმად ჭრიალებს წმინდა საჭრეთელი.

„ქრისტე, შეიწყალე ოქრომჭედელი, ბექა ოპიზარი!“

# ბებერი მთვარე

ღამემ საგზლად სიჩუმე მოიტანა. მთვარე ანათებდა ძილისაგან დატყვევებულ ქალაქს. საძინებელში ფანჯარა ღია იყო და საწოლიდან ვუყურებდი მძინარე ცას, როგორ აცოცხლებდნენ ციმციმა, ცელქი ვარსკვლავები. არ გვეძინა მხოლოდ ჩვენ: მე, მთვარეს და ვარსკვლავებს. დაღლილი, სევდიანი თვალებით ვუყურებდი მათ. უცებ ერთი ვარსკვლავი ცას მოსწყდა და ჩამოვარდა. ტანჯვით ამოვიოხრე, შემეცოდა გულუბრყვილო ვარსკვლავი, დიდი სისწრაფით მოჰქროდა დედამიწისაკენ, მაგრამ არ იცოდა, რა მოელოდა აქ. ნიავმა დაუბერა, თეთრი ფარდა მშვიდობის იალქანივითააფრიალა და მეც ოცნების ფრთები გამიშალა. უკვე მივქროდი მათკენ. თითქოს მათაც გაუხარდათ ჩემი სტუმრობა. მიღიმოდნენ, მეთამაშებოდნენ, ციმციმებდნენ ვარსკვლავები. მშობლიური ნიავი ნანას მიმღეროდა, მსურდა დამეძინა, მაგრამ ონავარი ვარსკვლავები არ მასვენებდნენ. მეც მივქროდი მათკენ და არ ვჩერდებოდი. როგორც იქნა, ჩემი ჭკუის, უდარდელმა ვარსკვლავებმა მეც ჩამაბეს თავიანთ ორომტრიალში. მიყვებოდნენ გარდასულ დღეთა საოცარ ზღაპრებს. ზღაპრულ ფერიებზე, პრინცესებზე და თეთრ რაშზე ამხედრებულ პრინცზე. როგორ მინდოდა მაშინ, მეც ზღაპრის გმირი ვყოფილიყავი. როცა თამაშით დავიღალეთ, მხოლოდ მაშინ შევამჩნიეთ, რომ მოხუცი მთვარე რაღაცაზე დარდობდა. მე მას ვკითხე:

–ღამის მეუფევ! რამ შეგაწუხა, რაზე დარდობ ასე?

–ადამიანო! შენ მეკითხები ამას?!..



თუმცა რაა გასაკვირი, თქვენ ხომ არაფერი გადარდებთ!!!

–ამას რატომ მეუბნები, წყვდიადის იმედო? მეც ვფიქრობ, მეც ვდარდობ სამშობლოზე.

–შენ, მხოლოდ შენ?.. ადრე ყველა დარდობდა სამშობლოზე, ახლა კი... შეიგნეთ, ხალხო! მშობლიური მიწაც სუნთქავს, არსებობს ისე, როგორც თქვენ. მას თქვენზე მეტად უყვარს და თქვენზე მეტად იტანჯება, თქვენ შორის კი სიყვარულიც განადგურდა. როგორ არ მინდა, როგორ არ მინდა, რომ კვლავ გათენდეს. აღარ მსურს შევასრულო ცხოვრების კანონი და გზა დავუთმო მზეს.

–რატომ, ის ხომ სიცოცხლის მეფეა? – ვკითხე გაკვირვებულმა.

–სწორედ ამიტომ, განა ღირსი ხართ სიცოცხლის? მეცოდება მზე, მე მძინარე ხალხს ვუყურებ და შედარებით ნაკლებ ცოდვებს ვიტან. ის კი გააწითლეს, სისხლით გააწითლეს მზე!!!

–მეშინია, ძალიან მეშინია, მთვარევ! – ვუპასუხე შიშისაგან აცახცახებულმა.

–შენ ჯერ ბავშვი ხარ და გიჭირს გამიგო, ცხოვრება წმინდა და ხავერდით მოფენილი გგონია, მაგრამ არც კი იცი, რა მოგელის, რას მოგიტანს ბეწვის ხიდზე მავალს იდუმალი ბედისწერა.

–ვიცი, რა რთულია იყო ქვემოთ, დედამიწაზე, ამას უკვე მივხვდი. შემეცოდა გულუბრყვილო ვარსკვლავი, ასე რომ მოისწრაფოდა დედამიწისაკენ, მაგრამ მაინც ვიბრძოლებ სიმართლის აღსადგენად! – ამას ვამბობდი და ვგრძნობდი უხილავ ძალას, რომელიც მსოფლიოო ბოროტებასაც გაუსწორდებოდა. – მთვარევ, შენ ანათებ ჩაბნელებულ ცას. მე კი გეფიცები, ძაძებს გავიხდი და ჩემს ქვეყანას გავანათებ.

–მაშ, არ დანებდე! მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლე! – ღიმილით მითხრა მთვარემ. მე თვალზე მომდგარი ცრემლი მოვიწმინდე. მან კიდევ რაღაც მითხრა, მაგრამ ვერ გავიგონე, რადგან ყურში ზარების, ზეცის წმინდა ზარების წკრიალი მომესმა და როცა გაოცებულმა თვალი გავახილე, ჯერ კიდევ ნახევრად გაწითლებული მზე დავინახე და მაშინ მივხვდი რომ კიდევ იყო იმედი, მზის სიცოცხლის, ჩვენი განწმენდის იმედი...

**მარიამ მჭედლიშვილი,**
**ქუთაისის მე-14 საჯარო სკოლა,**
**IX კლასი**



გიორგი ჯოხაძე,
გარდაბანი, №1 საშუალო სკოლა, III კლასი



ვოვა ქავთარაძე,
გარდაბანი, №1 საშუალო სკოლა, I კლასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიო კიდით კიდემდე



## აშშ

### მინიატიურული ქალაქი ბავშვებისთვის

ქალაქ ფორტ-ლოდერდეილში გაშენებულ ამ საბავშვო პარკს ვანადოსიტი ჰქვია და ის ძალიან ჰგავს ნამდვილ ქალაქს: აქ მაღაზიებიც არის, ბანკიც, პოლიციის განყოფილებაც, საავადმყოფოც, თეატრიც, ოღონდ ყველაფერი მინიატურაში. პარკში მოსულ ბავშვებს შეუძლიათ უფროს ადამიანებად იგრძნონ თავი, „სამსახურში წავიდნენ", მიიღონ ხელფასი (აქ საკუთარი ვალუტაა – „ვონგა"), ჩაიცვან სამუშაო ტანსაცმელი, მიიღონ პატარა, ოღონდ ნამდვილი ხელსაწყო-იარაღები და 120 პროფესიიდან ნებისმიერში გამოსცადონ თავი. ზოგი პოლიციელობას ირჩევს, ზოგი პურს აცხობს, სხვები სუპერმარკეტებში მუშაობენ ან საკაბელო ტელევიზიის დიქტორის როლში გამოდიან. გართობათა პარკმა დღიდან გახსნისა, მილიონზე მეტ პატარა სტუმარს უმასპინძლა და იმდენად დიდი პოპულარობა მოიპოვა, რომ გადაწყდა, კიდევ 10 ასეთი საბავშვო ქალაქი გაიხსნას.

## საფრანგეთი

### გერმანელი და ფრანგი მოსწავლეები ერთ ისტორიას ისწავლიან

ამიერიდან გერმანელი და ფრანგი მოსწავლეები XX საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიას ორი ქვეყნისთვის საერთო სახელმძღვანელოს მიხედვით ისწავლიან.

ასეთი სახელმძღვანელოს შექმნის იდეა ფრანგი და გერმანელი სტუდენტი ისტორიკოსების შეხვედრის დროს დაიბადა, დაწერით კი ის ფრანგმა და გერმანელმა მეცნიერებმა დაწერეს. წიგნი ორ ენაზე გამოვიდა და ის უფროსკლასელებისთვის არის განკუთვნილი. მალე ანალოგიური სახელმძღვანელოები უმცროსი და საშუალო კლასებისთვისაც გამოიცემა.

## ჩინეთი

### როდესაც ლოცვისები ინთება

ცეცხლოვანი დრაკონის ფესტივალი ტაი-ჰანგში (ჰონგ-კონგის რაიონი) 100 წელზე მეტია ტარდება, საფუძვლად კი მას ლეგენდა უდევს. ერთხელ, მას შემდეგ, რაც ჰონგ-კონგს შტორმმა გადაუარა, გიგანტური გველი გამოჩნდა, რომელიც ხალხს თავზარს სცემდა. სოფელ ხაკას გლეხებმა მოკლეს გველი, რამდენიმე დღის შემდეგ კი მათ უბედურება დაატყდა თავს – შავი ჭირის ეპიდემიამ იფეთქა და ლამის მთელი სოფელი მოსრა. აღმოჩნდა, რომ გველი მძლეთამძლე დრაკონის ვაჟი იყო და მისი მოკვლით გაგულისებულმა მამამ ხალხს ათასი გასაჭირი მოუვლინა. მაშინ ბუდამ თქვა, რომ უბედურებისაგან ადამიანებს ცეცხლოვანი დრაკონის ზეიმი იხსნიდა. სწორედ მას შემდეგ იმართება ეს ლამაზი ფესტივალი, რომლის დღეებშიც ქუჩებს ნაირფერი დრაკონებით რთავენ, ეროვნულ სამოსში ჩაცმული ბავშვები კი ლოტოსის ფორმის სანათებში დანთებული სანთლებით ხელში დადიან ქუჩებში, სრულდება ცეცხლოვანი დრაკონის ცეკვა, რის შემდეგაც ზეიმის მონაწილენი არომატული ჩხირებისგან აგებულ 30-მეტრიანფიტულს წვავენ.

## კამბოჯა

### ციური ნიმფების ცეკვა

კამბოჯის ერთ-ერთი უძველესი ტაძრის, ანგკორის კედლებს ქვის ბარელიეფები ამკობს, რომლებზეც ციური მოცეკვავე ნიმფები, აფსარები არიან გამოსახულები. ლეგენდის თანახმად აფსარები ოკეანის წყლისგან იყვნენ შექმნილები და ღმერთებს ცეკვით ართობდნენ. ცეკვის ხელოვნება კომბოჯაში ათას წელზე მეტია არსებობს, მოცეკვავე ქალები კი ოდესღაც ღმერთებს და მეფეებს შორის მოციქულებად ითვლებოდნენ და გარე სამყაროს მოწყვეტილები ტაძარში ცხოვრობდნენ, ცეკვითაც მხოლოდ მეფეებისთვის ცეკვავდნენ. დღეს ამ ცეკვების სწავლა პნომპენში არსებულ საბალეტო სკოლაში ყველა მსურველს შეუძლია.

კამბოჯურ ცეკვებს გრაციოზული პოზები და ნარნარი მოძრაობები გამოარჩევს, იმისათვის, რათა გაიგონ, რაზე მეტყველებს ესა თუ ის მოძრაობა, კამბოჯური ცეკვის ჟესტების ენა მარტო მოცეკვავეებმა კი არა, მაყურებლებმაც უდა იცოდნენ.

# რა და რა ჰქვია რას და რას













# სიტყვის კონა



**ბერბილი** – მომცრო ზვინი, ოღონდ არა თივისა და ჩალის, არამედ ლობიოსი, სოიასი და სხვა.

**გალი** – ტოტებგადაჩეხილი ხე; უტოტებო ხე.

**ტოილო** – ცხენის ფეხზე მოსაბმელი მსხვილი თოკი. ამ თოკით საძოვარში აბამენ ცხენს.

**გარო** – წვნიანი საჭმლის თავზე მომდგარი ცხიმი.

**გეხელი** – მამალი ფრინველი.

**გნდე** – ყუა (ცულის, დანის). ნაპირი (ფიცრის).

**გოგოჭუა** – ქალაჩუნა.

**გოლეული** – ფიჭიანი თაფლი.

**გოთურგა** – ხმლის, ხანჯლის, თოფისა და მისთანების ჩამოსაკიდებელი თასმა.

**გორდა** – მოკლე (უვადო) ხმალი.

**გორგორჩანა** – მდინარეში წყალქვეშა კლდეებზე გადამდინარე ზვირთი.

**ჩარბუხანა** – ჟივილ-ხივილი, მხიარული ცეკვა-თამაში.

**ციბა** – ტანმორჩილი ძაღლი.

**ცხავი** – საცრის მსგავსი ხელსაწყო მარცვლეულის კილის, ბზის და მისთანათაგან გასაწმენდად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ... ანუ მარგალიტი წყობილი

რუსთაველი პოემა „ვეფხისტყაოსანში" უხვად მოიხსენიებს ძვირფას თვლებს. თითოეულ მათგანს გარკვეულ მნიშვნელობას და დატვირთვას აძლევს. მათი საშუალებით კიდევ უფრო ღრმად გვიხატავს პერსონაჟთა სულიერ სამყაროს, აცოცხლებს მათ ფიზიკურ მშვენებას. ვკითხულობ პოემას და თითქოს მხატვრის ტილოზე ცოცხლდება ყველა მოქმედი გმირი, ყველა ეპიზოდი. რუსთაველი აღწერს მეფე თამარის მშვენებას, რომელსაც უბრძანებია მისი ქება:

„მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა,
ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა,
ბროლ-ბალახშისა თლილისა, მის მიჯრით მიწყობილისა.
გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა".

თამარის ტუჩ-კბილებს შოთა ბროლსა და ბალახშს ადარებს. ბროლი ამ შემთხვევაში გამოხატავს თამარის კბილებს, რამეთუ ის ძალზედ მოელვარე და ბრწყინვალეა თავისი გამჭვირვალობიდან გამომდინარე. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში შესაძლებელია რუსთაველი ბროლით თვით თამარის ხასიათზე და მის გამჭვირვალე ზნეობაზე საუბრობს.

რუსთაველი არაერთგან საუბრობს ალმასზე, ეს ძვირფასი თვალი ყოველთვის ისეთ მომენტში ჩნდება პოემაში, როდესაც სიტუაცია დაძაბული ან პრინციპულია:

„ავთანდილ დაჯდა ტირილად, ტირს ხმითა მშვენიერითა,
ყორანსა გაჰგლეჯს ხშირ-ხშირად, აფრთხობს ბროლისა ჭერითა;
გახეთქა ლალი გათლილი ანდამატისა კვერითა,
მუნით წყარონი გამოხდეს, ძოწსა ვამსგავსენ ფერითა".

ავთანდილი სასოწარკვეთილი ტირის, რადგან მისმა სიჩქარემ ტარიელი სიკვდილის პირას მიიყვანა. ავთანდილის დაძაბულ სულიერ მდგომარეობას რუსთაველი შთამბეჭდავად აღწერს. ალმასივით ბასრ მუშტებს დაუნდობლად ირტყამს ლალის ტუჩებზე.

ალმასი გამჭვირვალე, თეთრი, მოყვითალო, მოცისფრო, მონაცისფრო, მომწვანო, მოვარდისფრო ელფერებისა და შავი ფერის (ძალიან იშვიათად) მინერალია. ამ ქვას ბედნიერება უპირატესად მაშინ მოაქვს, როცა პატრონს მემკვიდრეობით იცვლის. ის უხვად შეიცავს მზის ენერგიას, მაგნიტურობას და ამიტომ, უდიდესი ენერგიისა და ენერგეტიკული ვიბრაციების მატარებელია. აქედან გამომდინარე, ავთანდილის მუშტიც ძლიერია, დიდი ენერგიის მატარებელია თვით ავთანდილი და სწორედ ამიტომაც შეადარა რუსთაველმა მისი მუშტი ალმასს.

უმოწყალოდ დაიხეთქა ავთანდილმა ტუჩები და იქიდან წამოსული სისხლი რუსთაველმა ძოწის წითელ-შინდისფერ ძვირფას თვალს შეადარა. ძოწი ერთ-ერთი ძვირფასი და საინტერესო ქვაა, რომელსაც რუსთაველი მრავალგზის იყენებს პოემაში. ძირითადად ძოწი გამოხატავს პერსონაჟთა ტუჩებს, რომელთაც ამ ძვირფასი თვალის ელვარებით და ფერადოვნებით კიდევ უფრო მეტი ხიბლი ეძლევა. ძოწს ენერგიით პლანეტა მარსი და იუპიტერი კვებავს, მას წარმატება მოაქვს აქტიური და ვნებიანი ადამიანებისთვის. ოდითგანვე ითვლებოდა, რომ ეს ქვა სიხარულის, სიმხნევის და ოპტიმიზმის მომნიჭებელია. მას შეყვარებულთა სიმბოლოდაც მიიჩნევდნენ. ძოწს არ უყვარს ზარმაცი ადამიანი და მისთვის უსიამოვნება მოაქვს. ის ადამიანის შინაგან მდგომარეობაზე რეაგირებს და მისი ფერის ინტენსიურობა აქტიური ქმედებისას მატულობს. გამიჯნურებული ავთანდილი ძოწისფერ სამოსშია გამოწყობილი, თუმცა ამჯერად სანადიროდ მიდის, მაგრამ მიჯნურის სიყვარულს ხომ გულით მუდამ თან დაატარებს:

„დილასა ადრე მოვიდა იგი ნაზარდი სოსანი,
ძოწეულითა მოსილი, პირად ბროლ-ბალახშოსანი".

იბარებს რა ავთანდილს, თინათინი მიჯნურს განსაკუთრებულად მომხიბვლელი ხვდება. მას თეთრ სახის კანსა და შავ თმას უმშვენებს ძოწისფერი რიდე, თავსაბურავი (შესაძლებელია ეს რიდე ძოწებით იყო გაწყობალი): „დაღრეჯით იყო მჯდომარე ძოწეულითა რიდითა".

მართალია, თინათინი დამწუხრებულია უცხო მოყმის გაუჩინარების ამბით, თავისი სევდა უნდა გაუზიაროს ავთანდილს, მაგრამ ეს მაინც ვერ ცვლის მის შინაგან ბედნიერებას, რომ ის მიჯნურია, სწორედ ამიტომაც მოხვევია თავზე მკვეთრი ფერის რიდე ძოწისა. ასე იკვეთება ამ ქვის ხასიათი პოემაში, რომელზეც გვეუბნებიან, რომ შეყვარებულთა სიმბოლოდ მიიჩნევაო. გამიჯნურებული ნესტანი სასოწარკვეთას მისცემია ტარიელის დაკარგვის გამო. ვერც ფატმანის ნუგეშმა და სათუთმა მოპყრობამ დაამშვიდა, აი, როგორია ფატმანის თვალით დანახული ნესტანი:

„შინა შევედი, მას წინა ედგის ცრემლისა გუბები,
შიგან სისხლისა მორევსა ეყრდნის გიშრისა შუბები,
მელნისა ტბათათ იღვრების სავსე სათისა რუბები
შუა ძოწსა და აყიყსა სჯვირს მარგალიტი ტყუბები".

ნესტანის თითოეულ ნაკვთს რუსთაველი ძვირფასი ქვებით აღწერს. სისხლის ცრემლით უტირია ნესტანს, თვალებიც სავსე ჰქონდა სისხლის ცრემლებით, ნაზად ხრიდა „გიშრის შუბებს" ანუ წამწამებს. ნესტანის ტუჩების ელვარების გამოსახატავად არ სჯერდება ძოწის თვლის სიწითლეს და იქვე მოიხსენიებს „აყიყის" თვალს. ეს არის ძვირფასი წითელი ფერის ქვა, რომლის სახელწოდებაც არაბული წარმომავლობისაა. ნესტანის უკიდეგანო სევდას რუსთაველი საოცარი სიცხადით აღწერს და კიდევ უფრო მეტად ამძაფრებს ძვირფასი

თვლების მეტაფორული გამოყენებით. „მელნის ტბიდან“ ანუ ნესტანის მელნისფერი თვალებიდან იღვრებოდა „სავსე სათისა რუბები“. სათი შავი ქარვაა, რუბი – სქელი წვენი, რაც მთლიანობაში მეტაფორულად აღნიშნავს, რომ ნესტანს თვალთაგან სდიოდა სისხლისგან მუქი და სქელი ცრემლი.

რუსთაველი არ სჯერდება ავთანდილის ტუჩების სიწითლის წარმოსაჩენად ლალის თვალს, ახლა მის ტუჩებსაც, მსგავსად ნესტანის ტუჩებისა, ძოწისფერ ელვარებას აძლევს:

„ესე უსტარი დაწერა, შეკრა და წა-ცა-ხვია მან,
მისცა ფრიდონის მონათა ვარდმან და ვითა იმან,
შესთვალა ზეპირ, რაცა ხმდა, სრულად, მართ ვითა ჰგია, მან,
მათ მარგალიტი უშვენის ძოწისა კარმან ღიამან“.

ავთანდილმა გაიღიმა, მისი ძოწის ბაგეები გაიხსნა და გამოანათა მარგალიტივით თეთრმა კბილებმა.

საინტერესოა ის, რომ რუსთაველი ძალიან კარგად იცნობს სხვადასხვა ძვირფას თვლებს, თითოეული მათგანის თვისებებს, პოემაში უხვად გვხვდება მარგალიტის თვალი, თვით პოემაც ხომ მარგალიტივით ძვირფასია ყველა ქართველისათვის. მარგალიტი მარცვლისებური ძვირფასი ქვაა, თეთრი, შავი ან ყვითელი ფერის და წარმოიშობა ზოგიერთი მოლუსკის სხეულში. მისი მოპოვება საკმაოდ დიდ შრომასთან არის დაკავშირებული, სწორედ ამიტომ მარგალიტში სიმბოლურად მოიაზრება ძვირფასი, საუკეთესო. „ვეფხისტყაოსნის“ თითოეული სტროფიც ხომ მარგალიტია:

„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი, ხელისხელ საგოგმანები,
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები,
ჩემმან ხელ-მქმელმან დამმართოს ლაღმა და ლამაზმანები“.

პროლოგში რუსთაველი ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე „ობოლ მარგალიტს“ ანუ საუკეთესო მარგალიტს უწოდებს პოემას, რომელიც ხელიდან ხელში „საგოგმანებია“. ამ ტაეპიდან გამომდინარე, აუცილებლად საფიქრალია შემდეგი: რუსთაველი ხაზს უსვამს, რომ მას ისეთივე დიდი ძალისხმევა და შრომა დასჭირდა პოემის შესაქმნელად, როგორც ეს მარგალიტის მოპოვებას სჭირდება:

„მარგალიტი არვის მიხვდეს უსასყიდლოდ, უვაჭრელად“.

სწორედ ასეთი დიდი ღვაწლი დასჭირდა რუსთაველს თავისი „მარგალიტის“ შესაქმნელად.

**ანი ციცქლაშვილი,**
**ნიკო ბაგრატიონის სახ. თავადაზნაურთა სკოლა-ლიცეუმი, IX კლასი**

**(იბეჭდება შემოკლებით, თემამ მოსწავლეთა მე-60 სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე I ხარისხის დიპლომი დაიმსახურა, ხელმძღვანელი პედ. თამარ ჭაჭეიშვილი)**

# საბა ფერხული,

**თბილისის არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა „ათინათი“, IV კლასი**



## ჩემი მამული

მე არ მინდა უცხო ქვეყნის
არც დიდება, არც პატივი,
ჩემი მიწის შვილი ვიყო,
ჩემს მამულში გამოზრდილი.
ვწერო, ვხატო ქართულ რჯულზე,
ჩვენი ყოფა, ადათ-წესი,
ვიყო ღირსი ქართველობის
საამაყო შვილთა გვერდით,
დავიღალო, დავიშრიტო, მისთვის
დავდო, თავი მისთვის,
მის ლოცვაში დავილიო,
ვაძლიერო წმინდა ფესვი.

## დედაჩემი

დედა ჩემთვის სიკეთეა,
დედა – ჩემთვის სიმშვიდე,
დედა – სულის გაბრწყინება,
ჩემი მუზის მეუფე.
დედის სიტყვა თაფლი არის,
გონებისთვის წამალი,
დედაჩემი არის მუდამ
ჩვენთვის ლოცვად დამდგარი.





# მშრომელი წარვალს და ნაშრომი ჰგიეს

# ივანე მაჩაბელი



შექსპირის ცნობილი მთარგმნელი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ქართველი „სამოციანელების“ წარმომადგენელი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური წევრი და ახალი ქართული სალიტერატურო ენის ერთ-ერთი ფუძემდებელი ივანე მაჩაბელი 1854 წლის 26 ივლისს ცხინვალთან ახლოს, სოფელ თამარაშენში დაიბადა. პირველდაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო და ადრევე გაეცნო ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერებისა და კლასიკური ლიტერატურის ნიმუშებს. 1863 წელს პატარა ვანო თბილისის გიმნაზიის მოწაფე გახდა. ეს ის დრო იყო, როდესაც რუსეთის ხელისუფალთა მიერ ქართული ენაც იდევნებოდა, და ქართული სულიც. მაგრამ გიმნაზიის მასწავლებელი, სასიქადულო მამულიშვილი პეტრე უმიკაშვილი მაინც ახერხებდა და ბავშვებს ქართული ენისა და კულტურის სიყვარულს უღვივებდა, აგროვებინებდა ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, ავარჯიშებდა მხატვრულ თარგმანში. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ჭაბუკი ივანე პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. სწორედ პეტერბურგში გაიცნო მან ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრე გახდა. იმხანად ივანე მაჩაბელს ინგლისური საერთოდ არ სცოდნია, სამაგიეროდ ფრანგულიდან უთარგმნია რომელიღაც ნაწარმოები, ეს თარგმანი მის ძმას, ვასოს უჩვენებია პეტერბურგში მყოფი ილიასთვის, რომელსაც ძალიან მოსწონებია და რაკიღა თარგმნის ნიჭი შეუტყვია, ივანესთვის ინგლისურის შესწავლა უთხოვია. როდესაც ილია რამდენიმე თვეში კვლავ ჩასულა პეტერბურგში, მაჩაბელს ინგლისური უკვე იმ დონეზე ჰქონია ნასწავლი, რომ ორივენი სულ მალე შეუდგნენ შექსპირის „მეფე ლირის“ თარგმნას. ეს 1874 წელს იყო, ამავე წელს ივანე მაჩაბელი ჯერ გერმანიაში გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად, ჰოპენჰაიმის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის შემდეგ პარიზის სორბონის უნივერსიტეტი დაამთავრა და საქართველოში დაბრუნებული აქტიურად ჩაება შემოქმედებით და საზოგადოებრივ საქმიანობაში. ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა მისი ლექსები, პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები, ივანე მაჩაბელი ილია ჭავჭავაძის ყველა წამოწყების, მის მიერ ჩამოყალიბებული ყველა საზოგადოების მუდმივი მონაწილე იყო. დიდი წვლილი შეიტანა მან „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“, თეატრალური საზოგადოების კომიტეტის, სათავადაზნაურო ბანკის, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაში, 1882-1883 წლებში „ივერიას“ რედაქტორობდა, 1883-1885 წლებში კი „დროებას“. პარალელურად მაჩაბელი ინტენსიურად მუშაობდა შექსპირის ნაწარმოებების თარგმანზე. ქართულმა საზოგადოებამ ერთი მეორის მიყოლებით მიიღო ჩინებულად თარგმნილი „ჰამლეტი“, „ოტელო“, „მაკბეთი“, „რიჩარდIII“, „იულიუს კეისარი“, „ანტონიოს და კლეოპატრა“, „კორიოლანუსი“. მაჩაბლისეული თარგმანები, შექსპირის მხატვრული ენის წვდომით, დედანთან სიახლოვითა და დიალოგის ოსტატობით დღემდე უბადლოდ არის მიჩნეული.

სამწუხაროდ, ორი დიდი ადამიანის – ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის ურთიერთობაში სხვადასხვა მიზეზების გამო ბზარი გაჩნდა, რასაც მათი აშკარა დაპირისპირება მოჰყვა, თუმცა გამოხდა ხანი და კონფლიქტი ამოიწურა.

1898 წლის 26 ივნისს, გამთენიისას ივანე მაჩაბელი შინიდან გავიდა და უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა. ამ საიდუმლო გაუჩინარების მიზეზებთან და ვითარებასთან დაკავშირებით გავრცელებული ვერსიებიდან ბოლომდე სარწმუნოდ დღემდე არცერთი არ არის აღიარებული. 1998 წელს ივანე მაჩაბლის გაუჩინარებიდან ასი წლის შემდეგ თავის დროზე გადატანილი ოპერაციის დროს ამოკვეთილი მისი ორი ნეკნი, რომელიც მანამდე ოჯახში ინახებოდა, მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.



პარიზი. 1878 წ. დგანან (მარცხნიდან მარჯვნივ): ივანე მაჩაბელი, ოთარ დადეშქელიანი, ვასო მაჩაბელი, პეტრე გრუზინსკი. სხედან მარცხნიდან მარჯვნივ: ივანე ჯორჯაძე, დავით გურამიშვილი, ვ. პეტრიაშვილი, დავით სარაჯიშვილი



# წიგნის მარგალიტები



## ანზორ აბულაშვილი

### სიმრავლეშია უკვდავება, ქართველო, შენი!

ათი მემკვიდრის გასათბობად დანთებულ კერას
თქეში და წარღვნაც ვერ ჩააქრობს, ვერა და ვერა!
ათი მემკვიდრის გამზრდელ მშობლის
დაძარღვულ მარჯვენს
ვინ შეეტოქოს, უძლეველსაც ის ყოველს დასძლევს.
დღეს სხვა ფასი აქვს, ვიდრე იგი ჰქონია სხვა დროს,
ათი მემკვიდრის საარსებოდ მოწეულ საზრდოს.
შეხედეთ ათთა იმედიან და ნათელ მზერას...
ათი მემკვიდრით ძალმოცემულს ვინატრით კერას.
სიმრავლეშია უკვდავება, ქართველო, შენი.
მდინარედ მოდის კოლხ-იბერთა ტანჯული გენი,
მაგრამ ზღვად მსურხარ... და ზღვა როცა
აიშლის ტალღას,
ლაღად და ლაღად, რა თქმა უნდა, მაღლა,
სულ მაღლა!

### იმედი

კი, დაუქარგავს,
კი, დაუხატავს
მზეს თუ ზენაარს,
ჩვენი მთა-ბარი;
მოკლედ, ცა-ფირუზ,
ხმელეთ-ზურმუხტი,
თითქოს უძირო
ზეცისმაგვარი.
კი, ასეთია,
გადასარევი,
სამოთხისდარი,
ან იქნებ – მეტიც.
ოქროს წვიმებით, ლურჯი დარებით,
სადაც თავთუხს ზრდის
უღალო ბელტიც.
სწორედ ამიტომ
უფრორე ვწუხვარ
ჩვენი ჯიშის და გვარის სიმცირეს,
თუმც ჯერ ამაყად
ბუბუნებს მუხა
და ცად ვარსკვლავიც
მისი ციმციმებს.
და მაინც ზოგჯერ
მიკვნესის გული,
მტკივა სამკვიდრო
ჩვენი ედემი...
მაგრამ ძარღვს, სისხლო,
იმგვარად უვლი,
ლორთქო ჯეჯილად მეიმედები.



ეროვნული ბიბლიოთეკა



პატარა ჟირაფს რქები დაბადებიდან მე-10 დღეს ამოსდის.

დაბადებისას პატარა ჟირაფი 1.5 მეტრის სიმაღლიდან ვარდება, მაგრამ მაშინვე ასწრებს ფეხზე დადგომას და დედის რძეს ეწაფება.

# ტანი — ცხენის, ფეხები — ანტილოპის...



მართლაც საოცარი ქმნილებაა ჟირაფი: ტანი ცხენისა აქვს, კისერი და მხრები აქლემის, კუდი — ვირის, ფეხები — ანტილოპის, კანი კი ლეოპარდის მსგავსად ლაქებიანი ბეწვით აქვს დაფარული. ცხენის ტანი და ანტილოპის ფეხების წყალობით, ჟირაფი საკმაოდ სწრაფად დარბის. ხიფათის შემთხვევაში იგი საათში 60 კილომეტრის სიჩქარეს ავითარებს, ამასთან 8 მეტრამდე სიგრძის ნახტომებს აკეთებს და შეუძლია 2 მ. სიმაღლის ღობესაც გადაევლოს. საერთოდ კი ჟირაფი დინჯად, ღირსებით აღსავსე ნაბიჯით დადის. აფრიკაში მას არავის შიში არა აქვს, გარდა იმისა, რომ თავისი ექვსი მეტრის სიმაღლიდან იგი შორიდანვე ამჩნევს მტაცებელს, ჟირაფს სმენაც ძალიან მახვილი აქვს და მხედველობაც, ხოლო თვალები ისე აქვს განლაგებული, რომ თავის მოუბრუნებლადაც ირგვლივ ყველაფერს კარგად ხედავს. მაგრამ თუ მაინც მოხდა და მტერმა ჟირაფზე თავდასხმა მოინდომა, მაშინ საქმეში ძლიერი ჩლიქები ებმება. ჟირაფის პანღურს რომ იგემებს. ლომი იქნება, თუ ლეოპარდი, კარგა დიდხანს სიახლოვესაც კი აღარ გაეკარება ამ ცხოველებს. ასეთი ტანმაღალი გუშაგების სიახლოვეს ზებრები და ანტილოპებიც უსაფრთხოდ გრძნობენ თავს, საერთოდ კი სავანის გოლიათები მშვიდობიანი ზნისა არიან, ან კი შეიძლება რომ სხვანაირი ზნე ჰქონდეს ასეთი თვინიერი მზერისა და გრძელი და ხშირი წამწამების პატრონ ცხოველს? ორი ჟირაფი მხოლოდ იმ შემთხვევაში წაეკინკლავება ერთმანეთს, თუ ორივეს ერთი და იგივე ძუ შეუყვარდება. იმის გასარკვევად თუ რომელი მათგანია უფრო ძლიერი, „საქმროები“ რქებით ერჩიან ერთმანეთს და ცდილობენ კისერი კისერზე მოსდონ, როგორც წესი, ასეთი „დუელი“ სერიოზული „ტრავმების“ გარეშე მთავრდება.

ჟირაფი აქლემის მსგავსად რამდენიმე კვირას ძლებს უწყლოდ, მას ხის ფოთლებისა და ნორჩი ყლორტების წვენიც ყოფნის. მშრალ სეზონში კი ველის ბალახზე გადადის და ასეთ პერიოდში ზოგჯერ ეწაფება წყალს. ამასთან წყლის დასალევად მდინარეზე თუ ტბაზე ჟირაფები წყვილ-წყვილად მიდიან და რიგ-რიგობით ყარაულობენ. ერთი მათგანი აქეთ-იქით იყურება, მაშინ როცა მეორე სვამს. თუმცა ერთ ტონას, ზოგჯერ კი მეტსაც იწონის, ჟირაფი ძალიან მოხდენილად დარბის.

მიუხედავად ტანკენარობისა, ჟირაფი ძალიან მსუნაგია, დღეში შეუძლია 100 კილოგრამი საკვები შეჭამოს. ამდენი ფოთლების მოსაპოვებლად ის მთელი დღის განმავლობაში „მუშაობს ენით“, ენა კი მართლაც უზარმაზარი აქვს — ნახევარი მეტრი. ამ გრძელი, მოქნილი და ეკლებისადმი უგრძნობელი ენით ჟირაფი ადვილად სწვდება მისი საყვარელი აკაციის გემრიელ ყლორტებს.



დასაძინებლად რომ ემზადება, ჟირაფი მიწაზე წვება, ფეხებს შეიკეცავს, კისერს გადახრის, თავს გავაზე იდებს ან მიწას აბჯენს. „მწოლიარე“ მდგომარეობაში ჟირაფს ძალიან ცოტახანს სძინავს — ზოგჯერ ნახევარსაათზე ნაკლებიც კი, ღამის დანარჩენ მონაკვეთში კი ზეზეურად თვლემს.

ხომ ასე გრძელი კისერი აქვს ამ ცხოველს, მაგრამ მასაც ადამიანივით შვიდი კისრის მალა აქვს, სამაგიეროდ თითოეული მათგანის სიგრძე 30 სანტიმეტრია.

ამჟამად დედამიწაზე ჟირაფების დაახლოებით ათი ქვესახეობა ცხოვრობს. ერთმანეთისგან ისინი ლაქების მოყვანილობითა და შეფერილობით განსხვავდებიან. ამასთან თითოეულ ცხოველს საკუთარი, განუმეორებელი ლაქები აქვს, ისე როგორც ადამიანებს თითების ანაბეჭდები.

ჟირაფების სანახავად აფრიკაში გამგზავრება სულაც არ არის საჭირო. ეს ცხოველები მსოფლიოს ყველა დიდ ზოოპარკში ჰყავთ, სადაც ისინი მშვენივრად მრავლდებიან და ადგილობრივ საკვებსაც ადვილად ეგუებიან. ტყვეობაში მოხვედრილი აფრიკის ბინადარი სიამოვნებით შეექცევა ტირიფის ტოტებს, თივას, ვაშლს, ბანანს, სტაფილოს, ორცხობილას და ვარდებსაც კი!

ყველაფერთან ერთად ჟირაფებს დიდი და კეთილი გული აქვთ, ალბათ, ამიტომაც უწოდეს არაბებმა ამ ცხოველს „ძერაფე“ რაც „საყვარელს“ ნიშნავს.

24114

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთი თქვენგანი

## კახაბერ კარტოზია



კახაბერი გარდაბნის №1 საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეა. თანატოლებისგან მამაკაცური რიდი და თავაზიანობა გამოარჩევს, რომ არაფერი ვქვათ მის აკადემიურ მოსწრებაზე. ნიჭიერი და გონიერი, ერთნაირი ინტერესით ეუფლება ყველა საგას.

უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში კახა სისტემატურად მონაწილეობს მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში და წარმატებითაც. მესამოცე კონფერენციაზე ეთნოგრაფიის სექციაში წარმოდგენილი მისი თემა „კულტურულ-სამეურნეო ტრადიციები საქართველოში" (ეთნოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორ ითონიშვილთან დაიცვა) I ხარისხის დიპლომით აღინიშნა.

პედაგოგები ხშირად საუბრობენ კახას წარმატებებზე, სკოლის დირექტორი ქ-ნი თინა აფრასიძე: – კახა უნიჭიერესი მოსწავლეა, მისი წარმატება აღარ მაოცებს. მან სხვადასხვა სექციებში (არქეოლოგია, არქიტექტურა, საქართველოს ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა და ეთნოგრაფია) გვასახელა.

2005 წლის იანვარში რაიონის გამგებლის ბატონ დავით ნადაშვილის ინიციატივით ჩატარდა კონკურსი ნიჭიერ ბავშვთა შორის, სადაც კახამ გაიმარჯვა და გამგეობის სტიპენდიატი გახდა. წელს კი განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდების კონკურსში გამარჯვებულ კახაბერ კარტოზიას II ხარისხის დიპლომი და ფულადი პრემია მიენიჭა.

გულო ფოლადაშვილი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი:

–კახას მეექვსე კლასიდან ვასწავლი, ის ყოველთვის მაოცებს გონებამახვილობით, დისკუსიებში საკუთარ აზრს არგუმენტებით ამყარებს, უყვარს აფორიზმებით, ანდაზებით საუბარი. საოცრად წიგნიერია და მუდამ ცდილობს ცოდნა გაიღრმავოს.

ქალბატონი ნანა ყანდიაშვილი, კახას დედა: – კახას სასკოლო ასაკამდე ბებია ზრდიდა, მე სტუდენტი ვიყავი და ვერ ვახერხებდი შვილის გვერდით ყოფნას. 7 წლიდან კი დანაკლისი ავანაზღაურეთ და მე და ჩემი მეუღლე გელა აქტიურად ჩავებით მის სწავლა-აღზრდის საქმეში. ის მაშინ სპორტული კომპლექსის დირექტორი იყო და კახასაც მან გაუღვივა ინტერესი სპორტისადმი, ჩოგბურთს და ფეხბურთს კახა დღესაც სიამოვნებით თამაშობს.

კახა კარტოზია მალე სკოლას დაამთავრებს და ცხოვრების ფერხულში ჩაებმება, როგორც მან თავად გვითხრა მას ქვეყნად სამართლიანობის დამკვიდრება სურს და ამიტომ განიზრახა იურისტობა. ძალიან კარგად იცის, რომ ამისთვის დიდი ძალისხმევაა საჭირო. თავისუფალი დრო ახლავე ენატრება, ერთი სული აქვს გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხეში ლენა ბებოს ესტუმროს. იქ მისი ბავშვობის მეგობრები ალიკა და მიშიკო ბეჟანიშვილებიც ელიან. მიუხედავად იმისა, რომ ძალზე დაკავებულია და ყოველი წუთი გათვლილი აქვს, მაინც ახერხებს მეგობრებთან ერთად ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში სიარულს. გიორგი ოყროშიძე, შმაგი რეხვიაშვილი, სალომე ნიჟარაძე, მარიტა ირემაშვილი, ანა ფერაძე – ესენი მისი მეგობრები არიან და როგორც კახა ამბობს, მათთან არასოდეს სწყინდება.

**მანანა ჯანგირაშვილი**, გარდაბანი

## ანა საკანდელიძე

ქუთაისის წმიდა ნინოს სახელობის გიმნაზიის მეხუთეკლასელი მოსწავლე ანა საკანდელიძე თანატოლებს შორის ერთ-ერთი საუკეთესოა, ზრდილობიანი, ბეჯითი და ნიჭიერი გოგონა დიდ იმედებს იძლევა. ანა პარალელურად სწავლობს მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ექსპერიმენტულ მუსიკალურ სკოლაში ფორტეპიანოს განხრით და აქაც სანაქებო მოსწავლეებს შორისაა. გარდა ამისა, ის ქორეოგრაფიულ ანსამბლში ქართულ და სამეჯლისო ცეკვებს ეუფლება. ანას მრავალფეროვან გატაცებებს შორის უმთავრესი მაინც ხატვაა (ხატვის მასწავლებელი გოგი ლომთაძე), მის ნამუშევრებში, რომელთა შორის ბუნების სურათები ჭარბობს, აშკარად საინტერესო ხელწერა მოჩანს. ფერებიდან ყველაზე მეტად ცისფერი უყვარს. ანა საკანდელიძის რამდენიმე ნამუშევარი ეგვიპტესა და ჩეხოსლოვაკიაში გამართულ ბავშვთა შემოქმედებით საერთაშორისო გამოფენაზე იყო წარმოდგენილი.



2 წლის ანდრო (ალექსანდრე) ანას უსაყვარლესი, ნანატრი ძმაა, ორივენი კი ცნობილი პუბლიცისტის, ქუთაისის საპატიო მოქალაქის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატისა და ღირსების ორდენის კავალერის, ბატონ ალექსანდრე (ალეკო) შენგელიას შვილიშვილები არიან.

**ვიოლეტა ბუჩიაშვილი**, ქუთაისი

## მარიამ მჭედლიშვილი

რუსთავის კერძო სკოლა „მნათობში" სასკოლო კონფერენცია უკვე ტრადიციაა, სადაც მონაწილეობის მიღება ყველა მოსწავლისათვის ერთნაირად სავალდებულოა – დაწყებული მესამე კლასიდან, მეთერთმეტე კლასით დამთავრებული. ბავშვებს ისღა დარჩენიათ, აირჩიონ თემა და სასწავლო საგანი (იმის მიხედვით, თუ რომელ სექციაში ისურვებენ მონაწილეობას).



მეცხრეკლასელმა მარიამ მჭედლიშვილმა, რომელიც ამ სკოლის მოსწავლეთაგან ერთ-ერთი საუკეთესოა, მე-60 რესპუბლიკურ კონფერენციაში მონაწილეობა საკუთარი სურვილით გადაწყვიტა. როგორც მარიამმა გვითხრა, სკოლაში მიღებულმა გამოცდილებამ რწმენა შემატა და ქიმია-ბიოლოგიის პედაგოგ თეონა ადეიშვილის დახმარებითა და მხარდაჭერით თემა: „ჩემი სოფლის მდინარე" მოამზადა და ბიოლოგიის სექციაში წარადგინა.

მარიამის თემამ, რომელშიც მან მდინარე ყვირილა ბიოლოგიურ ასპექტში მიმოიხილა საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის სიგელი დაიმსახურა.

მარიამის შესახებ სკოლის დირექტორი ქალბატონი ლია მუმლაძე საუბრობს: მარიამი ბეჯითი მოსწავლეა, უყვარს შრომა და აქვს პასუხისმგებლობის უდიდესი გრძნობა. მარიამის დედა, ქალბატონი ირმა დიასახლისია, აქვს უმაღლესი განათლება, მაგრამ ამისდა მიუხედავად (არც მარიამს და არც მის მეშვიდეკლასელ უნიჭიერეს ძმას) გაკვეთილების მომზადებაში არასოდეს ეხმარება. ქალბატონი ირმაც და მისი მეუღლეც შვილების თანადგომას სკოლის აქტიური დახმარებით გამოხატავენ.

ნიჭიერ და მუყაით გოგონას მიაჩნია, რომ ყველა საგანი თავისებურად საჭირო და საინტერესოა და ამიტომ ყველა საგას ერთნაირი მონდომებით სწავლობს. მარიამს უყვარს კითხვა და ბევრს კითხულობს, ამიტომ თავისუფალი დრო ნაკლებად აქვს. პროფესიის არჩევანი ჯერ არ გაუკეთებია, თუმცა ფიქრობს, რომ ტექნიკური საგნები გადასწონის. ერთი რამ კი ცხადია – რა პროფესიაც უნდა აირჩიოს, მისი ხასიათის თვისებებიდან გამომდინარე, ბეჯითობითა და შრომით, წარმატებას ნებისმიერ სფეროში მიაღწევს.



## დაუვიწყარი შეხვედრა

ამ ფოტოზე აღბეჭდილი შეხვედრა წარუშლელ შთაბეჭდილებად დარჩება ბავშვებისათვის და მას ვერც სივრცე, ვერც გარემო და ვერც ჟამი გააფერმკრთალებს.

სიცოცხლეშივე კლასიკოსად აღიარებული მწერალი, ჩვენი სასიქადულო მამულიშვილი, ბატონი ოტია იოსელიანი ქუთაისის მე-13 სკოლის ფრიადოსან მოსწავლეებს, მრავალმხრივი ნიჭიერებით გამორჩეულ მარი ბეხიაშვილსა და მიშა ზონენიშვილს ებაასება.

## წარმატების სიხარული



თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურის ინიციატივით კეკელიძის სახელობის საკალათბურთო დარბაზში 14 მაისს ჩატარდა რესპუბლიკური პირველობა კალათბურთელ გოგონათა გუნდებს შორის, სადაც მონაწილეობას იღებდნენ თბილისის, რუსთავლის, კასპის, ხაშურის, ქობულეთის გუნდები.

პირველობა წილად ხვდა თბილისის გუნდს „მართვე1"-ს, მეორე ადგილზე გავიდა რუსთაველ გოგონათა ნაკრები, ხოლო მესამე ადგილი ერგო „მართვე2"-ს. სწორედ ამ წარმატებით გახარებულებმა გადაიღეს რუსთაველმა კალათბურთელებმა (მწვრთნელი გია არჩუაძე) ეს ფოტო.

სურათზე: მარცხნიდან მარჯვნივ ზედა რიგში ლია რამიშვილი (№17 სკოლა), ნინო საყვარელიძე (№17 სკოლა), ნანა რამიშვილი (№17 სკოლა), მწვრთნელი გია არჩუაძე, მარი ოქრუაშვილი (№21 სკოლა), მაკა გვილავა (№13 სკოლა); ქვედა რიგში: ანა ძმანაშვილი (№17 სკოლა), დიანა არჯევანიძე (№13 სკოლა); მარი არჩუაძე (№13 სკოლა), ნატო ჭაუტიძე (№13 სკოლა), დალი ჟამერაშვილი (№13 სკოლა).

## ღია წერილი მშობლებს ამერიკაში

მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი სიტყვები დედიკოს და მამიკოს მარტო ჩემს თავს კი არა, მთელ ჩვენს ქვეყანას მონატრებს.

ძალიან მინდა ერთად ვიყოთ, გაზაფხულს, აღდგომის დღესასწაულს შევხვდეთ, სანთლები დავანთოთ.



დედიკო, მე ყოველდღე ვლოცულობ თქვენთვის. მაგრამ ვაღიარებ, რომ ერთად ყოფნას მაინც სულ სხვა მადლი აქვს. მენატრებით, მაგრამ ნუ იდარდებთ! მე უკვე დიდი ვარ...

ვისწავლი, ვიშრომებ და დაველოდები იმ დღეს, როდესაც დამიბრუნდებით და ძველებურად, ბედნიერად და რაც მთავარია, ერთად ვიცხოვრებთ.

დედიკო და მამიკო,
მიყვარხართ ძალიან,
ბეჯითად და უკეთესად
ვისწავლი ხვალიდან!

მამიდა და ბიძია, თქვენც ძალიან მიყვარხართ და მენატრებით.

**მარიამ გამსახურდიშვილი,**
ქ. რუსთავის 23-ე სკოლის
IIIა კლასის მოსწავლე.

# „... რომ საუკუნოდ დაბრუნდეს მისი დიადი წარსული“

გურიაში, ლანჩხუთის რაიონის სოფელ აცანაში შემორჩენილია შუა საუკუნეების მნიშვნელოვანი ძეგლის, ოქონის მონასტრის ნანგრევები. ოქონის მონასტერი გუმბათოვანი ნაგებობა ყოფილა, შიდა კედლები მოხატული იყო ფრესკებით, ამავე დროს კედლებზე იყო წარწერები, მონასტრის ეზოში იყო ეკლესია, რომელსაც გარს ერტყა ქონგურები და წინა ციხით, ვიწრო მაღალი კიბით და რკინის კარებით გამაგრებული მაღალი ციხე-გალავანი. ქონგურებს და გალავნის კედელს დატანებული ჰქონდა სათოფურები და სამიზნეები. ციხეში სპილენძის საყვირი ჰქონიათ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ოქონის მონასტრის ციხე-გალავანი მნიშვნელოვან ციხედ ითვლებოდა. დაახლოებით XVII ს-ის ბოლოს ამ მონასტრის ბერი ყოფილა ქრისტეფორე კობალაძე, რომელსაც ორი ბავშვი (წარმოშობით აზმეტიდან) მამულია და ზაქარია, გვარად ქინქლაძეები ტყვეებით მოვაჭრეებისთვის წაურთმევია და ოქონის მონასტრისთვის შეუწირავს, მათთვის დაუტოვებია სამონასტრო მიწა-წყალი და ქონება (ამის შესახებ წარწერა იყო მონასტრის შიდა კედლებზე). ამიტომ ქინქლაძეები ითვლებოდნენ ოქონის კუთვნილ, ანუ სამონასტრო გლეხებად. აცანაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მონასტრისადმი მიძღვნილ დღესასწაულს – „ოქონობას“, რომელსაც გარდა აცანელებისა, მეზობელი სოფლებიდანაც ბევრი მორწმუნე ესწრებოდა. ბოლო დროს ოქონის მონასტერს უძღვებოდა კეთილმოწესე მღვდელი მამა სილიბისტრო.



2003 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (№201,31 ივლისი) დაიბეჭდა აცანელი პავლე ქინქლაძის წერილი, რომელიც მოუწოდებდა საქართველოში მცხოვრებ ქინქლაძეებს, შეკრებილიყვნენ და ეზრუნათ, რათა აღედგინათ ოქონა: „აღვადგინოთ სუფთა ხელებით და სინდისით, რომ საუკუნეების მანძილზე კურთხეული და დალოცვილი იყოს ჩვენი გვარი და მართალნი ვიყოთ ღვთის წინაშე“. ამავე წერილში ნათქვამია: „1937 წლამდე ჩვენი გვარი შეუძლებელს აკეთებდა, ღირსეულად პატრონობდა ოქონის წმინდა სალოცავს და ბოძებულ ადგილ-მამულს. 1937 წელს კი ოქონის მონასტერი დაანგრიეს და სამწუხაროდ, ქართველის ხელით“.

გასულ ზაფხულს პოეტ ზაზა ქინქლაძის და არქიტექტორ ალექსი ქინქლაძის ინიციატივით და სოფლის მცხოვრებლებთა ძალისხმევით ოქონის ტერიტორია გასუფთავდა, შეიღობა, ტრაქტორით გაიყვანეს გზა. ზაზამ და ალექსიმ შემოიარეს მთელი სოფელი კითხვით: ხომ არ ეგულებოდათ სადმე ეკლესია-მონასტრის ნანგრევი ქვები? ხალხი უჩვეულო ყურადღებით მოეკიდა საქმეს და ბევრმა თავის ხელით აიტანა ოქონის ეზოში თუ რამ იპოვა ძველი ქვის ელემენტები. ასევე დაიარეს მდ. აცაურას ნაპირები და საკუთარი ზურგით აზიდეს ნაპოვნი ქვები „ოქონას“ ეზოში.

არქიტექტორმა ალექსი ქინქლაძემ შეადგინა სოფელ აცანაში ოქონას მაცხოვრის სახელობის ეკლესიის ესკიზი, რომელიც მე და დედაჩემმა ჩავიტანეთ შემოქმედის ეპისკოპოსთან მეუფე იოსებთან. მან დაგვლოცა, კურთხევა მოგვცა და რჩევისათვის გაგვაგზავნა ლანჩხუთელ მღვდელ მამა საბასთან. შუხუთის ეკლესიის მღვდელმა მამა საბამ ჩაგვაწერინა პროექტისათვის საჭირო მასალები და მიგვითითა, სად შეიძლება მათი შეძენა.

ამ ზაფხულს დაგეგმილია განახლდეს ტაძრის აღდგენითი სამუშაოები, განზრახული გვაქვს შევთხოვოთ ყოვლადსახიერ უფალს მისი აღორძინება.

**ანა კუნჭულია,**

**ნიკო ბაგრატიონის სახ. თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმი, IX კლასი**

**(იბეჭდება შემოკლებით. თემამ მოსწავლეთა მე-60 რესპუბლიკურ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე I ხარისხის დიპლომი დაიმსახურა. ხელმძღვანელი ისტ. მეცნ. კანდიდატი გოჩა გუგუშვილი)**



## სიზმარი

მინდა, რომ სიზმრად ვიხილო
ბაღი ედემის მაგვარი,
ბაღს ამშვენებდეს ღიღილო
და იდგას მყუდრო საყდარი.
იყოს ბზა დაუკრეფავი,
ლაღად ჰყვაოდეს ყვავილი,
არსად არ იყოს ეკალი
და უდაბური ადგილი.
ბაღში გალობდნენ მგოსნები
არ ჩანდეს ქორის აჩრდილი.
ბაღს დაეფინოს ოცნების
მზის ჯადოსნური მანდილი.

* * *

შემოღამდება, შემოღამდება
მოიქუფრება შორს ლელიანი.
ამოგორდება დუმილის მეფე,
კვლავ მოწყენილი და
სევდიანი.

**დათო ლომჯარია,**

ქ. თბილისი 62-ე საშუალო სკოლა, IX2 კლასი

# ვინ, რა? როგორ? რატომ? სად? როდის? რამდენი?

## როგორ შლის საშლელი?

საშლელი მზადდება კაუჩუკისაგან, რომელსაც




ლათინურად ჰქვია „გუმი ელასტიკუმ“. როდესაც საშლელს ვხმარობთ, მას სცილდება პაწაწინა ნაწილები, რომლებსაც გრაფიტის ნაწილაკები ეკვრის. ფერადი ფანქრის გრიფელით დატოვებული კვალი – ნაწერი თუ ნახატი – უფრო ძნელი წასაშლელია, რადგან მასში შედის ცხიმი და ცვილი, რომლებიც ქაღალდის ბოჭკოებში აღწევს. ასეთ შემთხვევაში წასაშლელად ხმარობენ მაგარი მასალების ნამცეცების შემცველ საშლელს, რომელიც ქაღალდის ზედა ფენას შლის.

## რატომ არის ქათმის ზოგი კვერცხი თეთრი, ზოგი კი მოყავისფრო?

კვერცხის ფერი დამოკიდებულია ქათმის ჯიშზე: თეთრი ქათმები თეთრ კვერცხებს დებენ, მუქი ფერის ქათმები კი – მოყავისფროს. ზოგს ჰგონია, რომ თეთრნაჭუჭიანი კვერცხი უფრო გემრიელია, სინამდვილეში კი ფერს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ორივენაირ კვერცხს ერთნაირი გემო აქვს, ერთადერთი განსხვავება მათ



შორის ის არის, რომ მოყავისფრო ნაჭუჭი თეთრზე უფრო მაგარია.

## რა აქვს აქლემს კუზში?

კუზების გარეშე აქლემი ვერ გაძლებს, დაიღუპება. თუმცა წინააღმდეგ გავრცელებული აზრისა, კუზში მას წყლის მარაგი კი არა აქვს დაგროვილი, არამედ ცხიმის, როდესაც საკვები შემოაკლდება, „უდაბნოს ხომალდი“ სწორედ ამ მარაგით საზრდოობს. ამიტომაც შეუძლია აქლემს დიდხანს იაროს უდაბნოში.

## როგორ ამზადებენ ფერადზოლებიან კბილის პასტას?

კბილის პასტის ყველა მწარმოებელს თავისი საიდუმლობები აქვს, ორფერი პასტის ტუბში მისი თეთრი და წითელი ნაწილები ცალ-ცალკე მდებარეობს (შუაში თეთრი პასტა, კიდეებზე – წითელი), როდესაც თქვენ ტუბს ხელს აჭერთ, თეთრი და წითელი პასტა ერთდროულად გამოდის, ოღონდ პატარა ცალ-ცალკე ნახვრეტებიდან.



რაც შეეხება სამფერ კბილის პასტას, ის ტუბშივე ფერადია. ის სხვა პრინციპით მზადდება: სპეციალური ხელსაწყო მის თეთრ, წითელ და ცისფერ ზოლებს ერთდროულად ტუმბავს ტუბში მისი სახურავის საპირისპირო მხრიდან.

## რატომ ყლაპავს ნიანგი ქვებს?

ტროპიკული და სუბტროპიკული მდინარეების, ტბებისა და ჭაობების ყველაზე საშიში ბინადარი, ნიანგი, თავისი განვითარების, არსებობის პირობებთან შეგუების უნარით დღეს არსებულ ყველა რეპტილიას აღემატება. ნილოსის მოზრდილი, 7 მეტრის სიგრძის ნიანგის მუცელში ყოველთვის არის 5 კილოგრამამდე ქვები, რომლებიც მას წყალში მდგომარეობის რეგულირებაში ეხმარება.

# ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმი



2001 წლის 20 მაისს სიონის საკათედრო ტაძარში სკოლა-ლიცეუმი დალოცა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II.

სკოლა-ლიცეუმი საპატრიარქოსა და განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაშია; მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის ურთულესი პროცესი წარიმართება მართლმადიდებელი ეკლესიის ეროვნული ტრადიციების, ღირსების, ზნეობის, ცოდნის განვითარება-გაღრმავების საფუძველზე.

ნიკო ბაგრატიონის სახ. თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმის სასწავლო წელი იწყება ინდიქტიონის (საეკლესიო ახალი წელი) დაწყებისას, 14 სექტემბერს (ახ.სტ.) და მთავრდება 14 ივნისს.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების გარდა ლიცეანტები გაძლიერებულად ეუფლებიან უცხო ენებს (გერმანული, ინგლისური, რუსული, ბერძნული, იაპონური), რელიგიის ისტორიას, კატეხიზმოს, გალობას, ხუცურს, ეკლესიის ისტორიას, ოქრომკედს, ქართულ ცეკვას. სასწავლო პროგრამა მოიცავს 12-წლიან ციკლს. სწავლების მესამე საფეხურიდან გათვალისწინებულია სპეციალიზაცია ჰუმანიტარული, იურიდიულ-ეკონომიკური მიმართულებით. ლიცეუმში მოქმედებს კომპიუტერული კლასი.

სკოლა-ლიცეუმში უდიდესი ყურადღება ექცევა მოსწავლეების მონარქისტული სულისკვეთებით აღზრდას, სასწავლებლის მრწამსი მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღში ყოფნაა, რამეთუ მირონცხებული მეფის მმართველობა ეკლესიური წესის განუყოფელი ნაწილია.

სკოლა-ლიცეუმში სიახლეა!

ცხადდება მიღება მოსამზადებელ განყოფილებაზე ბაღის უფროსი ასაკის ბავშვებისათვის.

**მისამართი: ქ. თბილისი, ყაზბეგის გამზირი 34ა (101-ე საშუალო სკოლის შენობა, მეტროსადგური „გოცირიძე“).**
**ტელ: 36-12-58; 64-75-91; 29-00-80;**
**მობ: (899) 42-30-11; 899 63 22 02; 899 10 34 53**

# ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი და მასთან არსებული მრავალდარგოვანი კოლეჯი



**აცხადებს მიღებას 2006-2007 სასწავლო წლისათვის:**

ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებით ბაკალავრიატის შემდეგ სპეციალობებზე: 1. სამართალმცოდნეობა; 2. საბანკო საქმე; 3. ინგლისური ენა; 4. გერმანული ენა; 5. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა; 6. კომპიუტერული პროგრამირება, ინფორმატიკა და უცხო ენა; 7. სამედიცინო ფსიქოლოგია.

**უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების ჩაბარებით მაგისტრატურის შემდეგ სპეციალობებზე:**

1. საბანკო საქმე; 2. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა; 3. ინგლისური ენა; 4. გერმანული ენა;

**სწავლის პერიოდში ვაჟები თავისუფლდებიან სამხედრო სამსახურისგან.**

კოლეჯში მისაღები გასაუბრების გავლით შემდეგ სპეციალობებზე:

1.საბუღალტრო აღრიცხვა, აუდიტი, ანალიზი და კონტროლი. 2. სოციალური უზრუნველყოფის სამართალი და ორგანიზაცია; 3. პროდუქტის ხარისხის კონტროლი და სტანდარტიზაცია; 4. უცხო ენები დაწყებით კლასებში (ინგლისური, გერმანული); 5. პროგრამირება ელექტრონული გამოთვლითი მანქანებისა და ავტომატიზებული სისტემებისათვის; 6. საშემსრულებლო ხელოვნება; 7. ტანსაცმლის მოდელირება; 8. ხალხური რეწვა (თექა, გობელენი, ბატიკა).

**დაბალი გადასახადი,**
**სწავლის მაღალი დონე.**
**საბუთები მიიღება 15 მაისიდან.**
**უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი ამირან მექვაბიშვილი.**

**მის: თბილისი, მერაბ კოსტავას 47 (ფილარმონიის ქვემოთ)**
**ტელ: 93 66 03; 99 62 71; 36 28 34; 96 46 43; 899 18 89 24;**

# შენზე ფიქრით რომ ათენებს

# უხვად გაცემული სიყვარული



სკოლაში სწავლის პირველ წლებში ეყრება ძირითადად საძირკველი ადამიანის მეობას და იმაზე, თუ რა ჩაიდება ამ დროს საძირკველში, ბევრად არის დამოკიდებული თითოეულის შემდგომი პიროვნული სტრუქტურა — ამ ჭეშმარიტებით ხელმძღვანელობს თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის პირველი დღიდან ხათუნა დოლენჯაშვილი, რომელიც ოც წელზე მეტია მუშაობს თბილისის 147-ე სკოლაში, რომელიც თვითონ 1985 წელს დაამთავრა. ერთხანს აქვე იმუშავა პიონერხელმძღვანელად, მერე კი სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიური ფაკულტეტის დაწყებითი კლასების მასწავლებლის სპეციალობის სტუდენტი გახდა და უკვე დიპლომირებულ პედაგოგად დაუბრუნდა მშობლიურ სკოლას. ვინ მოთვლის, რამდენი გოგო-ბიჭი დააფრთიანა ხათუნა მასწავლებელმა ამ ოცი წლის განმავლობაში, რამდენს ასწავლა ანბანა, რამდენს ჩაუნერგა სამშობლოს სიყვარული, რამდენი აზიარა ჭეშმარიტ ფასეულობებს, რამდენ ძლიერ და კეთილ ნერგად იხარა მის მიერ პატარების სულსა და გულში ჩათესილმა სიკეთემ და სიყვარულმა! მოწოდებით პედაგოგს არასდროს ავიწყდება, რომ ერთხელ შეძენილ ცოდნასაც და გამოცდილებასაც გამუდმებით სჭირდება გამდიდრება-გაღრმავება და განახლება, ამიტომაც გაიარა ამ რამდენიმე წლის წინ მიზნობრივი კურსები ქართულ ენაში, დაწყებითი კლასების მოსწავლეთა დიფერენცირებული კურსები, მერე კი „ეკოლოგიური განათლების შესავლის" ათდღიანი კურსებიც მოისმინა პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალურ ინსტიტუტში. 1997 წელს გავლილი ატესტაციის შედეგების საფუძველზე ხათუნა დოლენჯაშვილს პირველი კატეგორია მიენიჭა, პედაგოგიური კვლევისა და პროფესიული განვითარების ცენტრში კურსის „კითხვა და წერა კრიტიკული აზროვნებისთვის" გავლის შემდეგ კი მან სერტიფიკატიც მიიღო. მაღალი პროფესიონალიზმის აღიარება იყო მისი „1998 წლის საუკეთესო დაწესებულებისა" და „1998 წლის საუკეთესო მასწავლებლის" რაიონულ კონკურსში ფულადი თანხით დაჯილდოება. ხათუნა მასწავლებლის მიერ დამსახურებულ ჯილდოებს შორის არის ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს სიგელი, ი. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის კათედრის გამგის პროფ. რ. გაჩეჩილაძის მადლობა პრაქტიკანტებისთვის გაწეული დახმარებისთვის. ხათუნა დოლენჯაშვილი პროგრესულად მოაზროვნე მასწავლებელია და ამიტომაც სულ არ გაძნელებია მუშაობის ახალი მოთხოვნების შესაბამისად აწყობა. მან კარგად უწყის, რომ თუ მასწავლებელი მუშაობაში დროის მოთხოვნებს არ გაითვალისწინებს, პირველ რიგში საკუთარ მოსწავლეებს აზარალებს და ამიტომაც ნიადაგ მუშაობს საკუთარ თავზე.

გარდა ოფიციალური სწავლება-კურსებისა, იგი თავისითაც სისტემატურად ეცნობა პედაგოგიკის ახალ მიღწევებს და წარმატებით იყენებს მათ პატარებთან მუშაობაში. ხათუნა მასწავლებელმა ზედმიწევნით კარგად იცის თითოეული თავისი მოსწავლის ხასიათი, უნარ-შესაძლებლობები, ათვისების უნარი და სწორედ ამიტომ არ უჭირს მათთვის გონებრივი განვითარებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა.

ყოველ მათგანში იგი უპირველეს ყოვლისა საქართველოს მომავალს ხედავს და ამიტომაც არ იშურებს გულის სითბოს, ცოდნასა და ენერგიას, რათა ახლავე ჩაუყაროს საფუძველი მათ განათლებულ, ზნესრულ, მშრომელ და კეთილ ადამიანებად ჩამოყალიბებას. პატარები ხედავენ და გრძნობენ ამას და ამიტომაც უყვართ ასე ძალიან ხათუნა მასწავლებელი.

# ოქროს ჩემი მასწავლებელი...

* * *

მე არ მიყვარს, მე სიყვარულს
ვეტრფი,
თავად ტრფობას ვეფერები მუდამ,
მე მზისა მაქვს ოქროსფერი ეტლი
და ყოველვის სიყვარული მსურდა.
ცისფერ ტალღებს რომ მივაპობ,
ვხვდები,
ტკბილ ცხოვრებას თან დაერთვის
თრგუნვა,
მე კი მხოლოდ ვარდისფერ გზებს
ვხვდები,
ჩემში სუფევს სიყვარულის ბრუნვა..

* * *

კალმით ხელში ვარ და ეს ქვეყანა,
რატომღაც ჩემი მგონია,
მე არ მინახავს თვით ოქროს ყანა,
მაგრამ სურნელი მქონია...
კალმით ხელში ვარ და სიყვარული,
გამოცდილიც კი მგონია,
არადა მისი ჯერ მორული
სენი აროდეს მქონია...

**ცია ცხოვრებაშვილი,**
ქ. რუსთავის საერო
მრავალპროფილიანი
კერძო საშუალო სკოლა
„მნათობის" პედაგოგი

## მწყემსი კეთილი

უფალო ღმერთო, ჩვენთვის ჯვარცმულო,
ცოდვილთა შემწევ და მწყალობელო,
შემნანებელთა ნუგეშო ტკბილო,
მსასოებელთა შემწყნარებელო!
ჩვენო ნუგეშო, მწყემსო კეთილო,
ამომავალო ცისკრის ვარსკვლავო,
შემწევ ყოველთა, მორწმუნე სულის,
სამოთხისაკენ გზის გამკვალავო!
იხსენ, უფალო, ჩვენი სულები!
წუთისოფლისგან დამძიმებული,
რომ განიწმინდოს მონანიებით
ცოდვები, ჩვენში ჩასახლებული.

**ლ. ლეკიშვილი-საკაშვილისა**
ახმეტის რაიონის სოფ.
ქისტაურის საშუალო
სკოლის პედაგოგი



# ლიტერატურული გვერდი

## აზა აკობია

## ლექსები

### სიზმრის პაპა

გეხვეწები, ეს მითხარი,
საყვარელო დედავ,
როცა მძინავს ლამაზ სიზმრებს
მაშინ რატომ ვხედავ?
ეფერება პაწაწინას,
თან უსწორებს საბანს
და დედიკო ღიმილით
ეუბნება საბას:
–ყური მიგდე, შორს, დიდ ტყეში
ერთი კაკლის ხე იზრდება,
მოშრიალე ტოტები კი
ღრუბლებამდე სწვდება!
სწორედ ამ ხის ფუღუროში
ცხოვრობს სიზმრის პაპა,
ლამაზ სიზმრებს ის გიჩვენებს,
რა გეგონა აბა?
ღამით, როცა მიყუჩდება
ირგვლივ არემარე,
ველ-მინდვრებს კი გაანათებს
სავსე ბადრი მთვარე,
უამრავი სიზმრით სავსე
გუდას იღებს პაპა
და კაკლის ხის ფუღუროდან
გადმოხტება სწრაფად.
ფეხაკრეფით სათითაოდ
მივა ყოველ ბავშვთან
და გუდიდან ამოღებულ
სიზმრებს ტოვებს მათთან.
–დღისით, როცა აღარ გვძინავს,



რას აკეთებს პაპა?
დღისით?
ჯდება ხის ტოტზე და
აკნატუნებს კაკალს.

### ჩემი კვიცი

მყავს პატარა მეგობარი,
როგორია იცით?
სულ ცეცხლს აფრქვევს თვალებიდან
ჩემი შავრა კვიცი.
გუშინ მყავდა იპოდრომზე,
ცხენთა რბოლა ნახა,
გახალისდა, უფრო ლაღი
მეჩვენება ახლა.
საგაისოდ რაც მოხდება
მე წინასწარ ვიცი:
ჩვენ ავიღებთ პირველ ჯილდოს
მე და ჩემი კვიცი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პაწაწა „ვარსკვლავები"



**მარიამ მინდიაშვილი**

7 წლის მარიამი მე-19 სკოლის პირველკლასელი ფრიადოსანია. სამი წლიდან მღერის, გარდა ამისა, სწავლობს ქართულ და სამეჯლისო ცეკვებს.

მაყურებლის დიდი სიმპათია მარიამმა მაშინ დაიმსახურა, როცა ისე პაწაწინამ, რომ მიკროფონსაც კი ძლივს სწვდებოდა, მთელი გრძნობით იმღერა „ჰავანაგილა!" ქუთაისის ქართველ ებრაელთა საქველმოქმედო ცენტრის „ხესედ აბულას" ანსამბლთან „შორაშიმი" („ფესვები") ერთად.

ეს გამორჩეული მუსიკალური სმენითა და ვოკალით დაჯილდოებული გოგონას დებიუტი იყო. მას შემდეგ მარიამმა რეპერტუარიც გაამდიდრა, დიდ სცენაზე გამოსვლის გამოცდილებაც შეიძინა და თანაქალაქელთა სიყვარულიც მოიპოვა.

**ნინო ხუციშვილი**

3 წლისა იყო ნინო, როცა მშობლებმა საბავშვო ბაღში მიიყვანეს. პაწაწამ იქ სიარული არისურვა — მასწავლებელი არ მომწონს, ძალიან მსუქანიაო. მამამ ღიმილით უთხრა:



–შვილო, მეც ხომ მსუქანი ვარ, მაშ მეც არ მოგწონვარ?

–შენ არ მომწონხარ, მაგრამ მიყვარხარ, ბაღის მასწავლებელი კი არც მომწონს და არც მიყვარს, – უპასუხა ნინიკომ.

დღეს ეს კუდრაჭა გოგონა უკვე პირველი კლასის მოსწავლეა, ქუთაისის 23-ე სკოლაში სწავლობს და რა თქმა უდა, სულ „ფრიადებს" იმსახურებს. ძალიან უყვარს ხატვა, (ნინოს დედა ქალბატონი მადონა მშვილდაძე თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული მხატვარ-დიზაინერი გახლავთ) მეტწილად ყვავილებს, პეპლებს, ცხოველებს და ლამაზ გოგონებს ხატავს.

ხომ ასე პატარაა, მაგრამ ნინო დიდი გატაცებით ეუფლება აღმოსავლური ბრძოლების ერთ-ერთ ნაირსახეობას, კუშუ კუნგ-ფუს. ორთაბრძოლების დროს გამოჩენილი სანიმუშო ყოფაქცევისათვის, სისტემატიური, თავდაუზოგავი ვარჯიშისათვის, შეუდრეკელი სულისა და ერთგულებისათვის 5 წლის გოგონამ დასავლეთ საქართველოს კუშუ კუნგ-ფუს ასოციაციის სიგელი დაიმსახურა.

დაჯილდოების ცერემონიალს, რომელიც ქალაქის პირველ კლასიკურ გიმნაზიაში ჩატარდა, ესწრებოდა ჩინეთის ელჩი მეუღლითურთ. ელჩის მეუღლემ ყველაზე პატარა კუნგფუისტ გოგონასთან სურათის გადაღება მოიწადინა (იხ. სურათი) ნინოს დედამ, ქალბატონმა მადონამ ფედერაციის პრეზიდენტის მეშვეობით ეს ფოტოსურათი ჩინეთის საელჩოში გაგზავნა და ელჩის მეუღლის დიდი მადლობაც დაიმსახურა.

ნინოს ცეკვაც ძალიან უყვარს, მშვენივრად მღერის და ფორტეპიანოზე დაკვრასაც დიდი სიამოვნებით სწავლობს.

**ანი შაშუაშვილი**



ანის მშობლები — თამუნა ჩხეტია და ირაკლი შაშუაშვილი ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის მეექვსეკურსელები არიან. შეიძლება, რომ გაიზრდება, ანიმაც ექიმობა აირჩიოს პროფესიად, ამას მომავალი გვიჩვენებს, ახლა კი ცეკვითა და სიმღერით არის გატაცებული, მთელი თავისი პაწაწინა არსებით. დიდი აღმაფრენით ცეკვავს, მღერის და მშობლიურ ქუთაისში უკვე „ვარსკვლავადაც" არის აღიარებული. ხალისიანი, თვალმახარა გოგონა ორი წლის ასაკიდან დადის საესტრადო სტუდიაში „ჯადოსნურ ჰანგები", სადაც მისმა ბებიამ და სტუდიის ხელმძღვანელმა გულჩინა ყურაშვილმა მიიყვანა.

# ველოსიპედის გამოგონება გრძელდება



აღორძინების ხანის დიდი მხატვრისა და მეცნიერის ლეონარდო და ვინჩის გამოგონებებს შორის არის მანქანის პროექტიც, რომელიც ველოსიპედს მოგვაგონებს. ეს მოდელი სწორედ მისი ნახაზების მიხედვით არის აგებული.



* * *

ველოსიპედის ხანას სათავე გერმანელმა ბარონმა კარლ ფონ დრაიზმა დაუდო. 1817 წლის ზაფხულის ერთ დღეს ქალაქ მანჰაიმის სასახლის პარკში უცნაურ მორბენალ მანქანაზე გადამჯდარი ფონ დრაიზი გამოჩნდა და გაოცებული თანაქალაქელებისაგან „ახირებულის“ სახელი დაიმსახურა. გერმანელი ბარონის ის მანქანაც და მოგვიანებით შექმნილი მოდელიც ხისა და უპედლო იყო.

* * *



პედლები „ფეხმარდმა“ მორბენალმა მანქანამ 1858 წელს შეიძინა. შეიცვალა მისი გარეგნობაც: წინა ბორბალი უკანაზე ბევრად დიდი ჰქონდა, თუმცა სრულყოფილი არც ეს მოდელი იყო. 1865 წელს გამოჩნდა უფრო პატარა ველოსიპედები, გამოჩნდა პირველი რკინის მოდელებიც, რომლებსაც ბორბლები კვლავაც ხის რჩებოდა. რეზინის საბურავები 1888 წელს შოტლანდიელმა ექიმმა ჯონ დანლოპმა გამოიგონა და მას შემდეგ ორბორბლიანი „რკინის რაში“ ადამიანების მუდმივი თანამგზავრი გახდა.

* * *

„ბიციკლეტს“ ორი ერთნაირი ზომის ბორბალი და მათ შორის განთავსებული უნაგირი ჰქონდა. ის წინამორბედ მოდელებთან შედარებით ნაკლებად სახიფათო და უფრო მეტად მდგრადი, თუმცა კი მეტისმეტად დიდი და მოუხერხებელი იყო.



ეროვნული ბიბლიოთეკა



* * *

ასეთი ხუთადგილიანი ველოსიპედი საათში 40 კმ. სიჩქარეს ავითარებს.



* * *

გამუდმებით სრულყოფენ სპეციალისტები ველორბოლისთვის გამიზნულ სპორტულ მოდელებს. პლასტიკის ჩარჩოიანი ამ მსუბუქი მოდელის შემქმნელებმა უარი თქვეს ზედმეტ „ფუფუნებაზე“ და ველოსიპედს ფარანიც მოაცილეს, საბარგულიც და ფრთებიც.





* * *

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ველოსიპედი გადაადგილების ყველაზე მოხერხებულ, ეკოლოგიურად სუფთა და იაფ საშუალებად არის აღიარებული. აზიის რიგ ქვეყნებში ველორიქშები (ტაქსი-ველოსიპედი) ჩვეულებრივი მოვლენაა.

* * *

ეს ჩქაროსნული მოდელი ბოლო ოლიმპიური თამაშებისთვის შეიქმნა. დღეს ველოსიპედის სიჩქარის, კომფორტულობისა და სიმსუბუქის გამოთვლა წინასწარვე ხდება კომპიუტერზე, რომელიც მომავალი ორბორბლიანი შედევრის მოცულობით გამოსახულების ხილვის საშუალებას იძლევა.

* * *



„ველოსიპედის გამოგონება“ დღესაც გრძელდება, ახალი მოდელების შემქმნელთა ფანტაზიას ზღვარი არა აქვს. ამ მფრინავ ველომოდელს ფრთების გარდა პროპელერიც აქვს, რომელსაც პილოტი პედლების საშუალებით აბრუნებს.



# რა კარგი იქნებოდა, ჩვენც რომ ზვიგენივით ამოგვდიოდეს კბილები



ხომ გახსოვთ კბილის პასტის ის სატელევიზიო რეკლამა, თახვი რომ ელვის უსწრაფესად ხრავს ხის მსხვილ ტანს? არ იფიქროთ, რეკლამის ავტორები აჭარბებდნენ – მდინარეებზე კაშხლების ასაგებად საჭირო მასალისათვის ეს მღრღნელი საჭრელი კბილებით ზოგჯერ ერთ მეტრამდე დიამეტრის ხეებსაც კი ხერხავს. ზოგჯერ შეიძლება საჭრელი კბილები ხეში გაეჭედოს, ასეთ შემთხვევაში თახვი ისე გამალებით აამოძრავებს ქვედა ყბას, რომ ნაფოტები აქეთ-იქით ცვივა. ხოლო თუ მუშაობაში კბილი მოტყდება, მას არც ეს დაადონებს, იმიტომ რომ ცოტა ხანში ახალი ამოუვა. კიდევ უფრო უკეთესად აქვს ამ მხრივ საქმე ზვიგენს, რომელსაც რამდენიმე მწკრივად განლაგებული 400-მდე კბილი აქვს, რომლებიც გამუდმებით ამოსდის მოცვეთილების ან მომძვრალების სანაცვლოდ. რა კარგი იქნებოდა არა, ადამიანებსაც რომ ასე ამოსდიოდეს ახალი კბილები?! მაგრამ ჩვენ მათ სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ ვიცვლით. 6-დან 14 წლამდე სარძევე კბილები გვძვრება და მათ ადგილზე მუდმივი





კბილები ამოგვდის. სამაგიეროდ ჩვენ უნიკალური კბილები გვაქვს – შეგვიძლია „ეშვებით ვებღეროთ" უხეშ საჭმელს, მაგალითად, ხორცს, რბილ და პატარა ლუკმებს კი უკანა კბილებით ვაქუცმაცებთ და ვღეჭავთ.

თუმცა კბილებს სხვადასხვა დანიშნულება აქვს, ყველა მათგანი პრაქტიკულად ერთნაირად არის მოწყობილი: კბილები დენტინისაა, მაგრამ ყოველდღიური მძიმე დატვირთვისთვის, რომელიც კბილებს ადგას, დენტინი მეტისმეტად რბილია, სწორედ ამიტომ ის საგულდაგულოდ არის „შეფუთული" – ზევიდან მინანქრის სუპერმტკიცე ფენით არის დაფარული, ფესვი კი გარშემორტყმულია ბოჭკოებით, რომლებიც კბილს ღრძილში ამაგრებენ.

ვიდრე დამცველი ფენა დარღვეული არ არის, კბილებს არაფერი ემუქრება. სამწუხაროდ, პირი ნამდვილი სამოთხეა ბაქტერიებისთვის. პირში თბილა და ნესტიც არის, მიკრობებს კი ეს ძალიან უყვართ, თანაც დღეში რამდენჯერმე ბაქტერიებს საკვების მთელი ქარავანი ჩაუვლის ხოლმე. ამიტომაც არის, რომ პირში 400 სხვადასხვა სახის, მთლიანობაში კი 10 მილიარდი ბაქტერია ცხოვრობს არხეინად! ბაქტერიებს შორის კი უამრავი მავნებელი, ნამდვილი კარიოზული ურჩხულია. ისინი შეექცევიან პირში დარჩენილ შაქარს და მჟავას გამოყოფენ, მჟავა კი კბილებში აჩენს ნახვრეტებს, რომლებსაც ექიმები კარიესს უწოდებენ. ბაქტერიებთან საბრძოლველი საუკეთესო საშუალებაა კბილების წმენდა-ხეხვა, მაგრამ ვიდრე ადამიანები ამას მიხვდებოდნენ და ასეთ მარტივ საშუალებას მიაგნებდნენ, საკმაოდ დიდი დრო გავიდა. მანამდე კი კბილებს მხოლოდ მკურნალობდნენ, თუმცა ძალიან უცნაური საშუალებებით – მაგალითად, ძველი რომაელები ყვავის სკინტლს ჭამდნენ ან ბაყაყებს ლოკავდნენ. უფრო ხშირად კი კბილს იღებდნენ, ცხადია, ყოველგვარი ანესთეზიის გარეშე. ასე იყო XIX საუკუნემდე, ვიდრე ბორმანქანას გამოიგონებდნენ და სტომატოლოგიურ პრაქტიკაში ნარკოზს დანერგავდნენ. სულ მალე კი ალბათ, აღარც ბორმანქანა იარსებებს, უკვე მუშავდება კარიესის საწინააღმდეგო ვაქცინა, რომელიც პირში არსებულ ყველა მავნე ბაქტერიას მოსპობს. ის კი არა, ამბობენ, რომ დასასრულს უახლოვდება მუშაობა საშუალებაზე, რომლის წყალობითაც უჯრედები ახალი დენტინის წარმოებას შეძლებენ. ღორებზე ეს საშუალება უკვე გამოსცადეს და დადებითი შედეგიც მიიღეს: მას შემდეგ რაც ღრუტუნებმა წამალი შეჭამეს, მათ ახალი კბილები ამოუვიდათ. ჯერჯერობით არავინ იცის, რამდენად გაამართლებს იგივე საშუალება ადამიანებთან მიმართებაში, ისე რომ გირჩევთ, ამის იმედად ნუ იქნებით და ძველი ნაცადი ხერხით იზრუნეთ კბილებზე – მოიმარჯვეთ კბილის ჯაგრისი და ებრძოლეთ კარიოზულ ურჩხულებს.



# ცა...

უსაზღვროა ცა, იქ ღრუბლები და მზე ბატონობენ, მთვარე კი მისი მონაა. ცა ყველა ოცნების სათავე და სამუდამო სამყოფელია... მთელი დღეები ვუყურებ ცას და მსურს, დიახ, მსურს მასთან შეერთება, მისი შეგრძნება. მეც ხომ ბუნების ნაწილი ვარ, დილა ჩემთვის გრილია, რადგან ზამთარია და მცივა. თბილი, ლამაზი სამოსიც აღარ მაქვს, შემოდგომამ წამართვა და როცა მცივა, ხელებით შევთხოვ ჩემს ცას გამათბოს და ისიც გაიხსნის გულ-მკერდს, მივეფიცხები მზეს, ისიც მომეფერება, გამათბობს, მაგრძნობინებს, რომ მარტო აღარ ვარ. ღამით თოვა დაიწყო და ჩემ ირგვლივ ყველაფერი თეთრი ხავერდით დაიფარა, სადღაც თოვლის ქვეშ ვგრძნობდი ჩემს ფესვებს, ვგრძნობდი, როგორ მციოდა, მაგრამ მაინც ვუძლებ, რადგან ვარ ერთი მარტოსული ხე, რომლის ტოტებიც მუდამ ღმერთს შეჰყურებს უსაზღვრო სევდით.

# ფოთოლი და წვიმის წვეთი

ფოთოლი... ხეს ფოთოლი სცვიოდა და თითქოს ამ ფოთოლთან ერთად მემატებოდა სევდა, რადგან ვფიქრობდი, რომ ვიყავი ერთი პატარა წვეთი წვიმისა, რომელსაც სურდა სიცოცხლე და ოცნება. ვუყურებ, როგორ საცოდავად ეცემა სიცოცხლეს მოწყურებული ფოთოლი, მაგრამ მეც მელის სიკვდილი... ერთად მოვკვდებით მე და პაწაწინა ფოთოლი და ერთად გავიზიარებთ ზამთრის სუსხიან დილას, ბევრი არც კი მიაქცევს ყურადღებას პატარა ფოთოლს, ზედ შემშრალ წვიმის წვეთს. ბოლოს კი პატარა ფოთოლი მეეზოვის კოცონზე ფერფლად გადაიქცევა.

**ქეთი სოვდაგრიშვილი,**
ქ. რუსთავი,
სკოლა „ნაკადული"



თათია ლიპარიშვილი, 7 წლის, ქ. რუსთავი



სოსო ბაბულეიშვილი,
სკოლა-კომპლექსი „სადუნი", V კლასი





მარი იაკობიშვილი, ქ. რუსთავი, 12 წლის



თამუნა ბერიაშვილი, ახმეტის რაიონი,
სოფ. ქისტაური, 9 წლის

# როგორი ხასიათი გაქვს?

## ტესტი

ფსიქოლოგები ექვს სიტუაციასა და თითოეული მათგანის დროს მოქმედების სამ ვარიანტს გთავაზობენ. კარგად გაიაზრე ყოველი სიტუაცია, მერე მოქმედების სამივე შესაძლო ვარიანტსაც გაეცანი და მათგან ერთი ამოირჩიე. არჩეულ ვარიანტს „+" დაუწერე. ასე მოიქეცი ექვსივე სიტუაციაში.

აბა, მზად ხარ?

ვიწყებთ.

1. დაბადების დღეზე ისეთი რამ გაჩუქეს (ლარნაკი, ჰალსტუხი, პერანგი, წიგნი, მაისური, კალმისტარი და ა.შ) რაც უკვე გაქვს, როგორ მოიქცევი?

ა) მადლობას გადავიხდი, მერე კი ამ საჩუქარს სხვას ვაჩუქებ.

ბ) მაშინვე ვიტყვი, რომ უკვე მაქვს ასეთი ნივთი.

გ) არაფერს ვიტყვი, უბრალოდ, შევინახავ საჩუქარს.

2. გაკვეთილზე ერთმა შენმა თანაკლასელმა მეორეს ბარათი გაუგზავნა, რომელსაც აწერია: „არ გახსნათ!" ბარათი შენ ჩაგივარდა ხელში, როგორ მოიქცევი?

ა) ჩუმად წავიკითხავ და ისე გადავცემ, ხომ უნდა ვიცოდე რა წერია შიგ.

ბ) მაშინვე გადავცემ, ბარათს არ წავიკითხავ.

გ) რა თქმა უნდა, გადავცემ, ოღონდ გაკვეთილის შემდეგ, ხომ შეიძლება მასწავლებელმა შემამჩნიოს და წამართვას. სარისკოა.

3. მასწავლებელმა, რომელიც ცუდი თვალით გიყურებს, გადაწყვიტა, თავის საგანში სასკოლო კონკურსი ჩაატაროს: შენ რეალური შესაძლებლობა გეძლევა, „ტექნიკური" დახმარება გაუწიო მასწავლებელს (საკლასო ოთახის მომზადება, ბარათების გადაწერა და ა.შ.) და ხუთიანი გაინაღდო. როგორ მოიქცევი?

ა) უარს ვიტყვი, არც მასწავლებელი მიყვარს და არც მისი საგანი. რისთვის მოვიკლა თავი?

ბ) ცხადია, დავეთანხმები, თუ შესაძლებელია, რატომაც არ „დავირტყა" ხუთიანი. მასწავლებელთან ურთიერთობასაც ხომ გავიუმჯობესებ.

გ) პრინციპული მოსაზრებით უარს ვიტყვი, მოსახდენი უნდა მოხდეს.

4. ერთ-ერთი თანაკლასელი ანეკდოტს ყვება. შენ კი უკვე იცი იგი, როგორ მოიქცევი?

ა) არ შევიმჩნევ, რომ უკვე ვიცი, რატომ გავუფუჭო გუნება?

ბ) რა თქმა უნდა, ვეტყვი, შენი ანეკდოტი მოძველდა-მეთქი.

გ) ალბათ, შევაწყვეტინებ და თვითონ გავაგრძელებ ანეკდოტს.

5. მეზობელ ქუჩაზე აღმოაჩინე ტელეფონი-ავტომატი, რომლითაც შეიძლება უმონეტოდ დარეკო. როგორ მოიქცევი?

ა) სატელეფონო სადგურს შევატყობინებ.

ბ) მარტო თვითონ ვისარგებლებ ამ ტელეფონით, სხვას არავის ვეტყვი.

გ) რა თქმა უნდა, სხვებსაც ვეტყვი და ერთად დავრეკავთ ხოლმე, ყველას გავაშაყირებთ.

6. რაღაც ნივთი დაგრჩა და გაკვეთილების შემდეგ ცარიელ კლასში დაბრუნდი. შემთხვევით შეუსწარი ამხანაგს, რომელიც საკლასო ჟურნალში რაღაცას შლის. მან ვერ შეგამჩნია. როგორ მოიქცევი?

ა) თუ ჩემი ამხანაგია, გავაჩერებ, გავაფრთხილებ, არ ღირს ამის გაკეთება-მეთქი.

ბ) მივალ და ვნახავ, რას აკეთებს, ჩემს ნიშნებსაც შევამოწმებ ან უკიდურეს შემთხვევაში „ატანდაზე" დავდგები.

გ) ჩუმადვე გავბრუნდები უკან. რად მინდა ხათაბალაში გავება.

**თუ 16 ქულამდე დააგროვე:**

გულჩათხრობილი უფრო გეთქმის, ვიდრე გულღია. კუსავით „ბაკანში" გირჩევნია ყოფნა. დიდ ნიჭს იჩენ ზუსტ მეცნიერებებში. არ გიყვარს ხმაურიანი საზოგადოება.

**17-27 ქულა:**

გუნება-განწყობილების ადამიანი ხარ. შეიძლება ლექსებსაც წერ. გიტარაზე უკრავ. ვითარების მიხედვით ხან წინ ისწრაფვი, ხან აპათიაში ვარდები. მეოცნებისა და რომანტიკოსის თვისებები გაქვს. თუმცა განმარტოება გიყვარს, ზოგჯერ თანატოლების ხმაურიან წრეში ყოფნაც გინდება. კარგი იქნება, თუ მეტისმეტად სერიოზულად არ მოეკიდები საკუთარ თავს.

**28-36 ქულა:**

ნებისმიერი საზოგადოების სული და გული ხარ. გრძნობებს, ემოციებს, განცდებს დიდი მნიშვნელობა აქვს შენთვის. შეიძლება კარგი მეწარმე, ორგანიზატორი, მენეჯერი დადგე, ოღონდ იმ შემხვევაში, თუ „ცუდ წრეში" არ ჩავარდები, ასეთი საშიშროება კი სავსებით რეალურია შენთვის, იმიტომ რომ დისციპლინა მაინცდამაინც არ გიყვარს.

**37-52 ქულა:**

როგორც წესი, ყველაფერში და ყველგან პირველობას ეშურები. წყენას დიდი ხნით იტოვებ გულში. გინდა აუცილებლად გადაუხადო მწყენინებელს სამაგიერო. საკმაოდ მიზანსწრაფული ხარ. იცი, რა გინდა და დასახულის მისაღწევად გზებსაც პოულობ. ძალიან გიყვარს მბრძანებლობა, რამაც შეიძლება ცუდი სამსახური გაგიწიოს.

**53 და მეტი ქულა:**

შეგიძლია ყველას დაუმეგობრდე, ბევრი რამ მოუთმინო და აპატიო მეგობრებს, ამიტომაც უპრინციპო და უხერხემლო ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებ. ძალა არ გყოფნის, კრიტიკული იყო სხვებისა და საკუთარი თავის მიმართ. ხშირად მიჰყვები დინებას და სწორედ ესაა შენთვის მთავარი საშიშროება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიცილის გაკვეთილი

* * *

–იმ დასკვნამდე მივედი, რომ მთვარე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მზე.

–რატომ?

–იმიტომ, რომ მთვარე ღამე ანათებს, როდესაც ბნელა. მზე კი დღისით, როცა ისედაც ნათელია.

* * *

სკოლაში ბავშვებს დაავალეს დაეწერათ თხზულება თემაზე: „ჩემი მშობლები“. ცხრა წლის პოლმა დაწერა:

„სამწუხაროდ, მშობლები ისეთი ასაკში გვევლინებიან, რომ ძალიან ძნელია გადააჩვიო ისინი უამრავ ცუდ ჩვევას“.

* * *

–ვერ გამიგია, ასეთი ზარმაცი ვის ჰგავხარ... – უსაყვედურა მამამ შვილს, – ჩემთვის შრომა ყოველთვის სიამოვნება იყო, შენ კი გინდა, რომ შენ მაგივრად სხვები მუშაობდნენ!

–მე შენსავით ეგოისტი კი არა ვარ, რომ მარტო ჩემი სიამოვნებისთვის ვცხოვრობდე! – შეესიტყვა შვილი.

* * *



–მამაშენი შინ არის? – ჰკითხა უცნობმა კაცმა ბიჭს, რომელიც სახლის წინ კიბის საფეხურზე იჯდა.

–დიახ, ბატონო! – ზრდილობიანად მიუგო მან.

კაცმა დააკაკუნა, მაგრამ კარი არავინ გაუღო.

–აკი მამა შინ არისო? – მიუბრუნდა გამწყრალი კაცი.

–ის კი შინ არის, მაგრამ ეს ჩვენი სახლი არ არის, ჩვენ სხვაგან ვცხოვრობთ, – მშვიდად უპასუხა ბავშვმა.

* * *

–რა მოხდა, რა გატირებს, მარი?

–რა და... ჩემს და-ძმას ექნებათ საზაფხულო არადეგები, მე კი არა.

–შენ რატომ არ გექნება?

–იმიტომ, რომ ჯერ სკოლაში არ დავდივარ.

* * *

მასწავლებელი გაოგნებული დასცქეროდა პიერის საშინაო დავალებას:

–ვერ გამიგია, როგორ შეიძლება ერთმა ბავშვმა ამდენი შეცდომა დაუშვას!

–ერთმა კი არა, მასწავლებელო, ორმა, საშინაო დავალების შესრულებაში ჩემი ძმა მეხმარება ხოლმე.

* * *

–ჯეკ, მე შენ მიამბე, არა, მეორე მსოფლიო ომში ჩემი მონაწილეობის ისტორია?

–კი, მამა, გიამბე, ოღონდ ვერ გავიგე, დანარჩენი ჯარისკაცები რისთვისღა იყვნენ საჭირო?

* * *

–ეს რა არის? ამ მათემატიკის რვეულში რატომ არაფერი გიწერია? – ჰკითხა დედამ პატარა მონიკას.

–ეგ რვეული, დედიკო, ზეპირი ანგარიშისთვისაა.

* * *

–მამა, დღეს ჩვენი კლასის მშობელთა კრებაა, ოღონდ ძალიან ვიწრო წრისათვის.

–ვერ გავიგე, რას ნიშნავს „ძალიან ვიწრო წრისათვის?“

–რას ნიშნავს და იმას, რომ კრებაზე მარტო შენ და ჩვენი კლასის დამრიგებელი იქნებით.

* * *

–რამდენჯერ გითხარი, ბიჭო, სკამს ფეხებით ნუ აყირავებ-მეთქი, – ყურები არა გაქვს?! – დატუქსა დედამ პატარა ჰანსი.

–როგორ არა მაქვს, მაგრამ... რა ვიცი, ყურებით როგორ უნდა გადავაყირავო?

* * *

–რა არის ეს, ტოტო, რას გიგავს ნაწერი? ასო ასოს არ ჰგავს, სიტყვებიც გადაჩხაპნილია! იცი, რა ლამაზად ვწერდი, შენხელა რომ ვიყავი?!

–ალბათ, თქვენ უკეთესი მასწავლებელი გყავდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინილო — ზინილო

## კროსვორდი



**თარაზულად:** 1. ყოფილი სამთავრობო დასავლეთ საქართველოში; 4. მცენარეთა სამყარო; 8. კურორტი მარტვილის რაიონში; 11. ხეების სიმრავლე; 12. ბოძებზე შემდგარი პატარა ხის სახლი დას. საქართველოში; 13. ცენტრალური აფრიკის ჯუჯა ტომის წარმომადგენელი; 15. ქალაქი ჩინეთში ხაინანის კუნძულზე; 17. წყალქვეშა კლდე, რომელიც სახიფათოა ნაოსნობისათვის; 18. ქსოვილის სახეობა; 20. გარეული ფრინველი; 22. აზიის სახელმწიფო; 23. წყნარი ოკეანის კუნძული; 25. ქალაქი ბამზე; 26. ინერტული აირი; 27. რაიმე მანქანის ან მექანიზმის დაზიანება, რაც სახიფათოა ადამიანის სიცოცხლისათვის; 29. რეალურად, ობიექტურად არსებული არაორგანული სამყარო; 31. ვულკანი კოსტა-რიკაში; 32. გარეული ცხოველი. 34. ცხოველთა სამყარო; 36. ევროპის სახელმწიფოს დედაქალაქი; 39. სიმინდის ნაყოფი; 40. შავი ფიქალი, რომლისგანაც ამზადებენ გრიფელით საწერ პატარა დაფას; 42. საქართველოს მდინარე; 44. დედამიწის ამაღლებული ნაწილი; 46. მდინარე ჩინეთში; 47. თევზის სახეობა; 48. აზიის სახელმწიფოს დედაქალაქი; 49. დიდი კინოფილმის ნაწილი, რომელსაც დამოუკიდებლად აჩვენებენ.

**შვეულად:** 2. დროის მონაკვეთი; 3. საქართველოს კურორტი; 5. თევზის სახეობა; 6. მუხის ნაყოფი; 7; ქიმიური ელემენტი; 8. მტაცებელი ცხოველი; 9; თბილისის ძველი უბანი; 10. მწერი; 13. მსხვილი მახრჩობელა გველი; 14. რომაული მითოლოგიის ქალღმერთი; 15. თიხის ჭურჭელი; 16. სოფელი სვანეთში; 19. ცენტრალური ამერიკის სახელმწიფო; 21. აზიის სახელმწიფო. 22. დაბალი ხარისხის მურა ქვანახშირი; 24. სოფელი ქარელის რაიონში; 27. ყველაფრისადმი გულგრილობა; 28. ცხელი ქვეყნის მტაცებელი ძუძუმწოვარა ცხოველი; 29. ყველის სახეობა; 30. სახელმწიფო დაწესებულების დავალებათა აღმასრულებელი პირი; 33. ისტორიული ძეგლი საქართველოში; 35. აზიის სახელმწიფოს დედაქალაქი; 37. ვაზის ჯიში; 38. შემოკავებული მიწის ნაკვეთი საგანგებოდ დარგული ხეხილით, ყვავილით და ა.შ. 41. ხვიარა, მარადმწვანე მცენარე; 43. მდინარე თბილისში. 45. მდინარე და ქალაქი ნიგერიაში; 46. უდმურტეთის მდინარე, მდ. კამის შენაკადი.

# ფოკუსი შენი ტვინისთვის

გინდა საკუთარ ტვინს პატარა ფოკუსი აჩვენო? დადექი კარის ჩარჩოსთან, ხელები ასწიე, ხელისგულები ამყოლებს ღონივრად მიაბჯინე და ერთი წუთი გქონდეს ასე მიბჯენილი. მერე კარს მოშორდი, ხელები ჩამოუშვი და მოადუნე. ორიოდ წამის შემდეგ ხელები თვითონ აიწევა მაღლა.

რატომ ხდება ასე? შენი ტვინი მოემზადა იმისათვის, რათა კვლავაც გასცეს ხელების ღონივრად მიბჯენის ბრძანება, მისაბჯენი კარი კი აღარ არის. როგორც კი შენ ხელები მოადუნე, დარჩენილმა დაძაბულობამ კვლავ აიძულა ისინი მაღლა აწეულიყვნენ.



# თბილისის 147-ე საჯარო სკოლის

# პირველკლასელები

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლასის ხელმძღვანელი
**ხათუნა დოლენჯიშვილი**



კლასის ხელმძღვანელი
**თამარ ტუღუში**





ლიკა და ლაშა
ამაშიძეები



კობა და მარიამ
ბუჯეჯიანები

# ჩვენი მწერლობა

ხ63/22

ეროვნული ბიბლიოთეკა





**ოთარ მეტრეველი,** გარდაბნის №1 საშუალო სკოლა, VIII კლასი



**გიორგი კარტოზია,** გარდაბნის №1 საშუალო სკოლა, VII კლასი



**ნინო ჩიგოგა,** გარდაბნის №1 საშუალო სკოლა, VI კლასი



**ინიკამ ჯუსეინოვი,** საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოს საშ. სკოლა IV კლასი



**ხატია თაგუკაშვილი,** გარდაბნის №1 საშუალო სკოლა, II კლასი